საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 12 ივლისი. 2019 წ. №140 (8806) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბიძინა ივანიშვილი:

ჩვენი გზაა ევრო-ატლანტიკური სივრცე, ჩვენი გზაა ევროპა!

ამდენი ძვირფასი სტუმარი კარგა ხანია, არ ყოფილა საქართველოში. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება, — ამის შესახებ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომელიც გუშინ ევროპული საბჭოს პრეზიდენტს დონალდ ტუსკს შეხვდა. მმართველი პარტიის თავმჯდომარის თქმით, საქართველო მტკიცედ აგრძელებს გზას ევროპისკენ.

„დღევანდელი სიტუაცია, ამდენი მეგობარი, ამდენი ევროპელი და ძვირფასი სტუმარი ჩამოვიდა საქართველოში. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება და ჩვენ მტკიცედ გავაგრძელებთ ამ გზას ევროპისკენ. ჩვენი გზაა ევროატლანტიკური სივრცე, ჩვენი გზაა ევროპა და ჩვენ მტკიცედ დავიჭერთ ამ მიმართულებას. ჩვენი მეგობრების დახმარებით, ჩვენ ჩავეწერებით ამ ოჯახში — განვითარებული ევროპული სახელმწიფოების რიგში".

მმართველი პარტიის ლიდერმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს დონალდ ტუსკს ბათუმში უმასპინძლა. შეხვედრის შესახებ ინფორმაცია „ქართული ოცნების" პრესსამსახურმა გაავრცელა.

ბათუმში მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენცია „ღირებული პარტნიორობის 10 წელი — განვლილი გზა და პერსპექტივები" მიმდინარეობს, რომელიც „აღმოსავლეთ პარტნიორობის" 10 წლისთავს ეძღვნება. დონალდ ტუსკი კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა. ასევე ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა საქმიანი შეხვედრები გამართა.

ჩემი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში დონალდ ტუსკთან მქონდა ყველაზე თბილი შეხვედრა...

დონალდ ტუსკს უყვარს საქართველო, ის საქართველოს მეგობარია, — ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა გუშინ განაცხადა, რომელიც ევროპული საბჭოს პრეზიდენტს დონალდ ტუსკს შეხვდა.

„მახსოვს ჩემი პრემიერ-მინისტრობის პერიოდი, როდესაც გამოუცდელი პოლიტიკოსი ვიყავი, მასთან მქონდა ყველაზე თბილი შეხვედრა და იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ ძალიან თბილი ურთიერთობები გვაქვს. მას უყვარს საქართველო, ის საქართველოს მეგობარია. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, როდესაც დღეს მან ჩვენი კლასიკოსი გაიხსენა — ვაჟა-ფშაველას სიტყვები ქართულად წაიკითხა. ამით მან მოხიბლა მთელი საქართველო და მე მას პირადად გადავეცი დიდი მადლობა. ის უყვართ პოლიტიკოსებს საქართველოში — როგორც პოზიციას, ისე — ოპოზიციას. მან მოხიბლა საქართველოს მთელი მოსახლეობა და საზოგადოება მისი ასეთი პოზიციით. მადლობა მას", — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ამერიკა რუსეთს მოუწოდებს, განაახლოს ავიამიმოსვლა საქართველომდე და უკან!

„ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებით აკვირდებოდა რუსეთის მთავრობისა და დუმის წევრების არაპროპორციულ რეაქციას საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ჩვენ მივესალმებით რუსი და ქართველი ლიდერების გაკეთებულ განცხადებებს და გადაწყვეტილებებს ორმხრივი ურთიერთობების დასტაბილურების მიზნით და მოვუწოდებთ რუსეთს, განაახლოს ავიამიმოსვლა საქართველომდე და უკან", — უთხრა „ამერიკის ხმის" სპეციალურ კორესპონდენტს სინდი სეინს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. კომენტარი საქართველოში ბოლო ერთი კვირის მანძილზე მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რუსეთის მხარის რეაქციაზე გაკეთდა.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, საქართველოში ჩასული უცხოელი ტურისტები მთელი მსოფლიოდან, თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და იქ მათ კარგად ხვდებიან. ამასთან ერთად, აშშ-ის საგარეო უწყება რუსეთს მოუწოდებს, მოერიდოს ნეგატიური ზომების მიღებას, მათ შორის — სანქციების დაწესებას.

„ვაგრძელებთ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას, ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და მოვუწოდებთ რუსეთს, დაასრულოს საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია", — აცხადებს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი.

იაპონიის ხომალდი შორეულ ასტეროიდზე წარმატებით დაჯდა და უნიკალური ნიმუშები აიღო



იაპონიის კოსმოსური ხომალდი „ჰაიაბუსა-2" წარმატებით დაჯდა შორეულ ასტეროიდზე და მისი ზედაპირის ქვეშიდან ნიმუშები შეაგროვა. ამ უპრეცედენტო მისიამ შესაძლოა, ნათელი მოჰფინოს მზის სისტემის წარმოშობის საიდუმლოს.

„ჩვენ შევაგროვეთ მზის სისტემის ისტორიის ნაწილი. ამ დრომდე არავის აუღია ზედაპირქვეშა მასალების ნიმუშები მთვარეზე შორს არსებულ ციურ სხეულზე. ჩვენ ეს მსოფლიოში პირველებმა შევძელით", — ამბობს პროექტის მენეჯერი იუჩი ცუდა.

დაახლოებით მაცივრის ზომის ხომალდი ასტეროიდზე უკვე მეორედ დაჯდა. წარმატებულ დაშვებას იაპონიის კოსმოსურ სააგენტოში (JAXA) შეკრებილი მეცნიერები აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ოქროდ ვაქციოთ წყალი!

ჩვენი მდინარი, სასმელი წყლის რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება რეალური და გარდაუვალია

4

როგორ უნდა გამდიდრდეს საქართველო

ცირა შალაშვილი

გავლით ვარ წუთისოფელში...

ჩემი სიყვარული —
ცის გახსნას რომ ჰგავდა,
დროთა მდუმარებით
როგორ ჩამოთავდა...
როგორ გაიცრიცა,
როგორ გაფერმკრთალდა,
როგორ მოეფარა
დავიწყების ფარდა.
ჩემი სიყვარული —
ცის გახსნას რომ ჰგავდა —
როგორ დამეკარგა,
როგორ დამეკარგა...

7

მოგესალმებით, როგორც ამაყი ევროპელი ერის პრეზიდენტი

საქართველოს **პრეზიდენტი ბათუმის მე-16 საერთაშორისო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლისთავს მიეძღვნა.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველოს ამბიცია ევროკავშირის წევრობაა და საქართველო არასდროს აარიდებს თავს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნებს.

„მოგესალმებით საქართველოში რიგით მე-16 კონფერენციაზე სახელწოდებით „საქართველოს ევროპული გზა“. აღნიშნული კონფერენცია განახლებულ მნიშვნელობას იძენს გამორჩეულად მაღალი დონის წარმომადგენლობის გამო, რისთვისაც მადლობას ვუხდით თითოეულ მონაწილეს.

თუმცა, ასევე იმიტომაც, რომ ის ევროკავშირისა და საქართველოსთვის გადამწყვეტ დროს ტარდება – პარტნიორობის წარმატებული ათწლეულის შემდეგ, დრო მოვიდა ჩვენს ურთიერთობაში ახალი მიმართულება დავსახოთ.

მოგესალმებით, არა როგორც პროევროპული, არამედ ამაყი ევროპელი ერის პრეზიდენტი. ქვეყანა, რომლის კულტურა და ცივილიზაცია მკაფიოდ ევროპულია: მედეას სამშობლო უძველეს მითოლოგიაში; ღვინის წარმოების აკვანი; ქრისტიანი ერი ახ. წ. მე-4 საუკუნიდან. ქვეყანა, რომელმაც დასაბამი მისცა ქალთა უფლებებს ახ. წ. მე-12 საუკუნეში ქალი მეფის მმართველობით და 1918 წლის პირველ საპარლამენტო არჩევნებში ქალებისათვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებით.

ბუნებრივია, რომ ქვეყანას ახლა ქალი პრეზიდენტი ჰყავს. ჩვენი ღირებულებები, კულტურა და ისტორია ევროპულია. ჩვენი პოლიტიკა ევროპულია: ჩვენი მოსახლეობის 80% მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანების მიზანს. ეს მხარდაჭერა ურყევია ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, ცვლილებებისა და ევროსკეპტიციზმის გარეშე.

ევროპაში გავრცელებულ ახლანდელ კონტექსტში, საქართველო გახდა ერთგვარი გამონაკლისი, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და ენთუზიასტი ქომაგი. 1990 წლიდან საქართველოს ბევრი რთული პერიოდი ჰქონდა. საბჭოთა 70-წლიანი ბატონობა, სახელმწიფოს აღმშენებლობა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ძალების აღდგენა 2008 წლის ომის შედეგად, რამაც ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია და ღია ჭრილობით ცხოვრება განაპირობა.

დემოკრატიის თანმიმდევრულ შექმნასთან ასოცირებული გამოწვევების გადალახვა. ჯერ კიდევ სირთულეების პერიოდში, ერთი მახასიათებელი შეუცვლელი რჩება: ჩვენი ურყევი თავდადება კვლავ შევუერთდეთ ევროპულ ოჯახს.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საქართველომ ევროპისკენ მიმავალ გზაზე თქვენი დახმარებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. თხუთმეტი წლის წინათ ჩვენ შევუერთდით ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას. ათი წლის წინათ ჩვენ გავხდით აღმოსავლეთ პარტნიორობის ნაწილი. ხუთი წლის წინათ ხელი მოვაწერეთ ასოცირების შეთანხმებას.

ახლა კი, როგორც არასდროს, მჭიდრო კავშირებით ვსარგებლობთ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით, უვიზო მიმოსვლითა და მთავარი – ეკონომიკის დახმარებით, ვაჭრობითა და ინტეგრაციით. ევროკავშირთან, როგორც ჩვენს უპირველეს სავაჭრო პარტნიორთან, ურთიერთობით ჩვენი ეკონომიკური კავშირები ყოველწლიურად იზრდება და მან გადაასწრო **თურქეთსა და რუსეთს“,** – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე

მამუკა ბახტაძემ და დონალდ ტუსკმა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ახალ შესაძლებლობებზე იმსჯელეს

საქართველო **ევროკავშირის მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელიც თავისუფლებასა და გამბედაობასთან ასოცირდება,** – ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრისას განაცხადა.

მხარეებმა ისაუბრეს აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებზე და აღნიშნეს, რომ საქართველო ამ პლატფორმის ლიდერი ქვეყანაა. ხაზი გაესვა იმ მნიშვნელოვან პროგრესს, რომელმაც საქართველომ ევროპული ინტეგრაციის გზაზე მიაღწია, მათ შორის ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სივრცის შესახებ შეთანხმების, ასევე საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს ევროპული გზა არ არის მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება, ეს ქართველი ხალხის ცივილიზაციური არჩევანია, რომელიც ფასეულობებს ეფუძნება. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან სექტორული ინტეგრაციის მნიშვნელობასა და იმ ფორმატებზე, რომლებიც ამ პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. ამ კონტექსტში აღინიშნა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა“. **საუბარი შეეხო უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობას და შავი ზღვის უსაფრთხოების როლს საერთო ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. მამუკა ბახტაძის განცხადებით, ორმხრივ ურთიერთობებში მუხტის შენარჩუნება მნიშვნელოვანია და საჭიროა, ახალი, დამატებითი შესაძლებლობები გამოინახოს საქართველოს ევროპული ინტეგრაციისთვის. მხარეებმა შეხვედრისას ყურადღება დაუთმეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობას და საქართველოს სამშვიდობო ინიციატივას – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.**

საქართველოში ბიზნესის კეთების ორი მთავარი უპირატესობა...

საქართველოში **ბიზნესის კეთების ორი მთავარი უპირატესობაა: ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და დაბალი გადასახადები,** – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველ საინვესტიციო ფორუმზე, რომელიც ბათუმში მიმდინარეობს.

მინისტრმა ფორუმის მონაწილეებს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები გააცნო და ასევე საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის წამყვან პოზიციებზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც ნათია თურნავამ ფორუმზე გამოსვლისას აღნიშნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2018 წელს ეკონომიკური ზრდა მდგრადი იყო და ყველა ბოლო შეფასებით, 2019 წელს საქართველოს მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი ზრდის მაჩვენებელი (4.6 პროცენტი) ექნება.

„საქართველო, 3,7-მილიონიანი მოსახლეობით, შეიძლება, არ მოგეჩვენოთ მომგებიან ბაზრად. თუმცა, თუ საქართველოს შეხედავთ, როგორც რეგიონალურ ჰაბს, მაშინ ვითარება სულ სხვანაირი იქნება. ჩვენ ვხედავთ საქართველოს, როგორც კარიბჭეს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ცენტრალურ აზიის, ევროკავშირის, შემდეგ კი დასავლურ და აღმოსავლეთის ბაზრებზე“, – განაცხადა ნათია თურნავამ.

მინისტრის განცხადებით, საქართველოში ინვესტორებს შეუძლიათ, ისარგებლონ 2,3-მილიარდიან ბაზარზე წვდომით საბაჟო ტარიფების გარეშე და ამ შესაძლებლობას ქმნის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და, ასევე, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები ჩინეთთან (მათ შორის ჰონკონგთან), EFTA-სა და დსთ-ს ქვეყნებთან, უკრაინასთან და თურქეთთან და სხვა.

რუსეთის მიერ სრულყოფილი ემბარგოს დაწესების შემთხვევაში, საქართველოს ზიანი 4 მილიარდ ლარს მიაღწევდა, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ნათია თურნავამ განუცხადა: **„დაწესებულიყო ემბარგო, რაც არ განხორციელდა საბედნიეროდ, მთლიანი ზიანი მიაღწევდა 4 მილიარდ ლარს. ეს არის პირველ რიგში 750 მილიონი აშშ დოლარი, ანუ 2 მილიარდ ლარზე მეტი შემოსავალი ტურისტებისგან, რაც უნდა მიგვეღო წლის ბოლომდე. ეს არის 600 მილიონი დოლარის ფულადი გადმორიცხვები, რაც შარშან შემოვიდა და დაახლოებით იგივე დონეს ველოდებით წელს. ასევე, ჩვენი ექსპორტი ღვინის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და მინერალური წყლების, რომელიც წლიურად აღემატება 300 მილიონ დოლარს“,** – აღნიშნა თურნავამ.

დონალდ ტუსკი: ვგრძნობ, რომ საქართველოს ძალიან კარგი და იმედისმომცემი მომავალი აქვს

ბათუმში **შეხვედრების შემდეგ ვგრძნობ, რომ საქართველოს ძალიან კარგი და იმედისმომცემი მომავალი აქვს,** – ამ სიტყვებით მიმართა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს.

ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა მმართველი პარტიის ლიდერთან შეხვედრა საინტერესოდ და შთამბეჭდავად შეაფასა და გამოთქვა რწმენა, რომ ერთობლივი ძალისხმევით საქართველო კიდევ ბევრ წარმატებას მიაღწევს.

„ბატონო თავმჯდომარევ, დიდი მადლობა ძალიან საინტერესო შეხვედრისთვის. როგორც მოგეხსენებათ, ბათუმში ვიზიტი აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ჩემი მისასალმებელი გამოსვლით დავიწყე. შემდეგ შედგა ჩემი შეხვედრები ქალბატონ პრეზიდენტთან, ბატონ პრემიერ-მინისტრთან, ოპოზიციის ლიდერებთან და ახლა მმართველი პარტიის ლიდერს ვხვდები. დიდი მადლობა, ბატონო ბიძინა! ძალიან საინტერესო და შთაგონების მომცემი შეხვედრაა. დღეს თქვენთან, თქვენს ოპონენტებთან, მთავრობასთან და ქალბატონ პრეზიდენტთან შეხვედრების შემდეგ ვგრძნობ, რომ ძალიან კარგი და იმედისმომცემი მომავალი აქვს საქართველოს, არსებული პრობლემების მიუხედავად. ძალიან ღია და გახსნილი კომენტარები გავაკეთეთ მიმდინარე მოვლენების შესახებ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ერის გაერთიანებული ძალისხმევის პირობებში, სანამ შეგიძლიათ ერთად მოქმედება აზრთა განსხვავებულობის მიუხედავად, პოლიტიკური დებატების პირობებში და ვიდრე ოპტიმისტურად იქნებით განწყობილნი, ასეც იქნება. მადლობას გიხდით ამ შეხვედრისთვის. თავს განსაკუთრებულად და გამორჩეულად ვგრძნობ. მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს და საქართველოს. ვფიქრობ, საქართველოში ყველაფერი შესანიშნავადაა“, – განაცხადა დონალდ ტუსკმა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას.



გიორგი ოთხმეზური: ამაოდ ეძებენ რუსები საფუძველს, ვითომ აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველო არ არის!

პუტინი საქართველოს ისტორიულ ლაბირინთებში გაიხლართა. იგი ახალი ისტორიის დაწერას ცდილობს და შემოაქვს ნოუ-ჰაუ, თითქოს საქართველოც რუსეთის მსგავსად ოკუპანტია. თუმცა პუტინს ავიწყდება, „ოკუპანტ“ საქართველოს ტერიტორია შაგრენის ტყავივით გამუდმებით რატომ მცირდება მეზობლების სასარგებლოდ და რატომ ვერ მოახერხა ამ ერთი ციცქნა ქვეყანამ რუსეთის მსგავსად 17 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე გადაჭიმულიყო ოკუპანტური ნაბიჯებით?!

პუტინმა საქართველო 1920 წელს ცხინვალის რეგიონში გენოციდის მოწყობაში, ხოლო უფრო ადრე, 1918 წელს აფხაზეთის ოკუპაციაში დაადანაშაულა. პუტინის ვერსიით, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საქართველომ სცადა აფხაზეთის გადაყლაპვა, შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და გერმანიის ჯარების დახმარებით 1918 წელს საქართველომ მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია. პუტინი სტალინსაც გადასწვდა და განმარტა, თითქოს შიდა ქართლი სტალინმა საქართველოს აჩუქა.

*რატომ სცადა პუტინმა საქართველოს ისტორიის გაყალბება?! ამის შესახებ ისტორიკოსი **გიორგი ოთხმეზური** გვესაუბრება:*

— პუტინის ნათქვამი აბსოლუტურად ტყუილებზეა აგებული, რადგან 1774 წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთი ბუნებაში არ არსებობდა და ვერავითარ რუსეთის შემადგენლობაში ვერ შევიდოდა. 1774 წელს როცა ახსენებს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავზე საუბრობს პუტინი და ამბობს, თითქოს ე.წ. სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა იმ პერიოდში. პუტინზე ადრე ეს ინფორმაცია თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პირველმა ე.წ. პრეზიდენტმა — კოკოითიმ გაავრცელა და ახლა ეს ინფორმაცია, ეტყობა, გაიმეორა პუტინმა. რეალურად, ზუსტად იმ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებაში სიტყვა „ოსეთი“ საერთოდ ნახსენები არ არის, იქ ყაბარდოა ნახსენები. რაც შეეხება ოსეთს, ცხადია, აქ მხედველობაში მაქვს დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთი, რადგან სხვა ოსეთი ბუნებაში არ არსებობდა. იმ პერიოდში ჩრდილოეთ ოსეთი ყაბარდოს შემადგენლობაში შედიოდა და იმ ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებაში სტატუსის გარკვევის საკითხი იყო დასმული, ანუ დიდი და პატარა ყაბარდოს საკითხი და ყაბარდოსთან ერთად მოიაზრებოდა მის შემადგენლობაში მყოფი ოსეთი (ანუ ჩრდილოეთ ოსეთი). თვითონ რუსების მიერ შედგენილი რუკები არსებობს გეორგიევსკის ტრაქტატის მერეც, საქართველოს ანექსიის მერეც და არავითარი ე.წ. სამხრეთ ოსეთი მე-18 და მე-19 საუკუნეების რუკებზე საერთოდ არ არის. ის, რომ თითქოს ქართველებმა დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გენოციდი მოუწყვეს ოსებს, ეს საბჭოური ისტორიოგრაფიის ნარატივია, რადგან საბჭოელებს სურდათ, წარმოეჩინათ, რომ მენშევიკური მთავრობა იყო ცუდი და საბჭოთა ხელისუფლება იყო ძალიან კარგი, დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და აგერ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი იბრძოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. სინამდვილეში, იმ პერიოდში ოსებმა სამჯერ მოაწყვეს აჯანყება, არავითარმა მოლაპარაკებამ მათთან არ გაჭრა და ამის შემდეგ ჩვენმა მთავარსარდალმა ვალიკო ჯუღელმა იარაღის ძალით ჩაახშო ეს აჯანყება.

— იმ პერიოდში ოსებს ქართველების წინააღმდეგ განაწყობდნენ და ეხმარებოდნენ სწორედ რუსი ბოლშევიკები?

— არა მარტო რუსი ბოლშევიკები, არამედ ქართველი ბოლშევიკებიც. სხვათა შორის, ერთ-ერთი აჯანყება მოხდა 1920 წლის 7 მაისის შემდეგ, როდესაც რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. როდესაც ჩავახშეთ ეს აჯანყება, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიჩერინმა ნოტა გამოგვიგზავნა, ოსებს ნუ ავიწროებთო, საქართველოდან კი საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა გაუგზავნა საპასუხო ნოტა და შეუთვალა, ოსეთი მანდ გაქვთ, იმას მიხედეთ, საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი ოსეთი არ არისო.

— რუსების მხრიდან ოსების წაქეზებაზე რომ არაფერი ვთქვათ, რუსები აფხაზებსაც დევნიდნენ. სწორედ რუსებმა ამოხოცეს და გაასახლეს აფხაზები საქართველოდან.

— დიახ, მუჰაჯირობა რუსების მოწყობილია, აფხაზები რუსებმა გაასახლეს, ჩვენ არ დაგვიჩაგრავს აფხაზები. ჯერ ერთი, მე-17 საუკუნემდე ქართველსა და აფხაზს არავინ არჩევდა ერთმანეთში, რადგან აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც კახელი, ქართლელი, მეგრელი, სვანი, გურული. მოგეხსენებათ, ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „მეფე აფხაზთა“ ეწერა და დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს მარტო როგორც აფხაზთა მეფეებს, ასეც იხსენიებდნენ. მე-17 საუკუნიდან დაიწყო ჩრდილო კავკასიელების ჩამოსახლება და თანდათანობით შეიცვალა სიტუაცია. ერთი ძალიან საინტერესო დოკუმენტი არსებობს, 1561 წელს იტალიელი კარტოგრაფის ჯაკომო გასტალდის მიერ შედგენილი რუკა, სადაც აფსუა ხალხი და მათი ქალაქი აკუა არის დატანილი ყუბანის შუა წელზე ჩრდილოეთ კავკასიაში. როდესაც აფსუები ჩამოვიდნენ ჩვენს ტერიტორიაზე და აქ დასახლდნენ, ისინი საკუთარ თავს აფსუებს უწოდებდნენ და მათ სოხუმსაც „აკუა“ დაარქვეს, ანუ თავიანთი სახელწოდება აქ ჩამოიტანეს.

— ტოპონიმების შეცვლაზე როცა ვსაუბრობთ, არა მარტო აფხაზეთში იჩქმალებოდა ქართული დასახელებები, არამედ ცხინვალის რეგიონშიც მიზანმიმართულად მიმდინარეობდა ძირძველი ქართული სახელების ჩანაცვლება. მაგალითად, ოქონას ძველი ქართული დასახელება ჩანაცვლდა ქართველთა მჟლეტელი ოსი ზნაურის სახელწოდებით.

— ზნაურ აიდაროვი ყაჩაღი იყო და ბოლშევიკებმა მერე თავიანთ რიგებში მიიღეს. ბოლშევიკებმა მის პატივსაცემად დაარქვეს ქართულ სოფელს ზნაურის სახელი.

—კრემლის ლიდერის მხრიდან საქართველოს ოკუპანტად გამოცხადება რა მიზანს ემსახურება? პუტინი ამით ცდილობს, გაგვათანაბროს თავის ქვეყანასთან, რომელიც სხვა ქვეყნების ოკუპაციითაა სახელმოხვეჭილი? პუტინის ლოგიკით, თუ რუსეთი იმპერიაა, საქართველოც მცირე იმპერია გამოდის?

— როგორც ჩანს, რუსები საფუძველს ეძებენ იმისთვის, ვითომც ისტორიულად არც აფხაზეთი და არც ცხინვალის რეგიონი არ ყოფილა საქართველოს ნაწილი. სწორედ ამის დამადასტურებელი ისტორიული საფუძვლის მოძებნას ცდილობენ რუსები, თითქოს ისტორიულად ოსეთი დამოუკიდებელი იყო და აგერ, თურმე მე-18 საუკუნეში რუსეთის შემადგენელობაში შედიოდა. უფრო ადრე პუტინმა ისიც თქვა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი სტალინმა აჩუქა საქართველოსო, ვითომც ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი იყო, რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა მე-18 საუკუნის ბოლოს და მერე თითქოს სტალინმა გვაჩუქა ჩვენ. პუტინს უნდა ისიც „დაამტკიცოს“, თითქოს აფხაზეთიც დამოუკიდებელი იყო. სინამდვილეში, არც აფხაზეთი იყო დამოუკიდებელი. მოგეხსენებათ, როცა საქართველო დაიშალა, საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სამთავრო ჩამოყალიბდა, მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში, ასევე, ჩამოყალიბდა აფხაზთა სამთავრო. სხვათა შორის, აფხაზეთის ბოლო მთავარი და მისი მეუღლე მოქვში არიან დაკრძალულნი და მათი საფლავის ქვებზე ქართული ასომთავრული წარწერებია. საუბარია შარვაშიძეებზე.

— რუსების მიერ შარვაშიძეების გადასახლების და ამოხოცვის შემდეგ დაიწყო აფხაზეთში აფსუების გააქტიურებისა და ქართული ცნობიერების ჩაკვლის პროცესი?

— ეს პროცესი ჯერ ოსმალებმა დაიწყეს, ისინი ხელს უწყობდნენ ჩრდილო კავკასიელი ტომების ჩამოსახლებას საქართველოში, შემდეგ ეს პროცესი რუსებმა გააგრძელეს. სხვათა შორის, დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდში, 1918-21 წლებში როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი შეიქმნა, ასევე იყო აფხაზთა რევოლუციური კომიტეტიც, ამ კომიტეტში შემავალ აფხაზ ბოლშევიკებთან მოლაპარაკება შედგა და აფხაზეთი ავტონომიის სახით იყო შესული საქართველოს შემადგენლობაში. ამისთვის იარაღის გამოყენება არ გამხდარა საჭირო, მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაწყდა ეს საკითხი და ამის შემდეგ რუსებმა მიანიჭეს აფხაზეთს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, ხოლო ცხინვალის რეგიონს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი.

— ხომ არ ჯობდა, პუტინს ისევ სანქციები დაეწესებინა, ოღონდ ცილი არ დაეწამებინა ქართველებისთვის და თავად ოკუპანტს ოკუპანტად არ გამოვეცხადებინეთ? პუტინის მცდელობა, გააყალბოს საქართველოს ისტორია, ჩვენი ხელისუფლების მობოდიშებამაც ხომ არ განაპირობა?

— მოსაბოდიშებლად ნამდვილად გვაქვს საქმე იმ უმსგავსობის გამო, რაც გაბუნიამ გააკეთა ნაციონალური ტელევიზიის სახელით. როგორ შეიძლებოდა ასეთი რამის გაკეთება?

— მაგრამ, როცა თანაბარზომიერ ქმედებებზე ვსაუბრობთ, ცხადია, პუტინმა ჩაიდინა უარესი საქციელი — საქართველოს ტერიტორიების დაპყრობის სახით. აღარაფერს ვამბობთ 1921 წელს საქართველოში რუსეთის შემოჭრაზე და ჩვენი ქვეყნის ოკუპაციაზე და ქართველთა გენოციდის მოწყობაზე.

— 2008 წელს პროვოცირება მოხდა. სხვათა შორის, ჩვენი ბრალიც იყო ამაში. კი ბატონო, რუსეთი ოკუპანტია, დაკავებული აქვს საქართველოს ტერიტორია, მაგრამ მასთან საერთო ენის გამონახვა და დალაპარაკებაა აუცილებელზე აუცილებელი. ომით ვერ გადავწყვეტთ ამ საკითხს, ომით ჩვენს ტერიტორიებს ვერ დავიბრუნებთ, სხვა გზები უნდა გამოვნახოთ.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

თუ პუტინი ისტორიაზე საუბრობს, გაიხსენოს 1991 წელს დადგენილი საზღვრები...

როდესაც გორში ჩავედი, როდესაც დავინახე მავთულხლართები, ღობეები, მცოცავი ოკუპაციის რეალობა და აგრესია, ჩემზე ამან ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, — ამის შესახებ ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტმა კლაუდია როთმა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში გამართულ სესიაზე **„პარტნიორობის 10 წელი, პირველი ნაბიჯები ევროპულ გზაზე“,** — განაცხადა.

„დარწმუნებული ვარ, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არის წარმატების ისტორია. ბოლო ათი წლის განმავლობაში მიღწეულია ძალიან დიდი შედეგები. ეს წარმატებები და მიღწევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელი გადმოსახედიდან. ჩემთვის კი კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ის არის, რომ სხვადასხვა ქვეყანას შორის ხიდები აიგო. სწორედ ხიდების აგებაა საჭირო და არა კედლების. ამიტომ ეს მიღწევა ჩემთვის არის ყველაზე მნიშვნელოვანი“, — განაცხადა კლაუდია როთმა.

გერმანიის ბუნდესტაგის წარმომადგენლის თქმით, ევროკავშირში ინტეგრაციისთვის აუცილებელია რეფორმების სრულყოფა.

„არ უნდა მოხდეს ისე, რომ ქვეყანამ მიაღწიოს რამე მიზანს, გაჩერდეს და თქვას, რომ კმაყოფილია და მეტი არაფერი სჭირდება. არა, საჭიროა რეფორმების სრულყოფა იმისთვის, რომ ამ ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრირება მოხდეს. თუ ვლადიმერ პუტინი ისტორიაზე საუბრობს, გაიხსენოს, რა მოხდა 1991 წელს, როდესაც განისაზღვრა საზღვრები და ისინი აბსოლუტურად განსხვავდებოდა იმისგან, რაც მოხდა მერე უკრაინაში, სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთში. ჩვენ, როგორც ევროკავშირმა, უნდა შევასრულოთ უფრო აქტიური როლი კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისთვის. საერთაშორისო სამართლის დარღვევას ვერ იტანს ის ხიდები, რომლებიც ამდენი შრომით აიგო სხვადასხვა ქვეყანას შორის“, — განაცხადა ბუნდესტაგის ვიცე-პრეზიდენტმა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲓᲘᲓᲠᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲮᲝᲠᲪᲘ ᲨᲔᲕᲐᲡᲮᲐᲗ ᲓᲘᲓ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲘᲓᲔᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲣᲠᲣᲐ, ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲔᲜ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲖᲙᲜᲐᲠᲘ, ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲣᲚᲘ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲔ�თᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲣᲕᲐᲚᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მეცნიერების მიერ შემუშავებული „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“ ემყარება საქართველოს არეალში არსებული ბუნებრივი რესურსების მაკროეკონომიკურ კვლევებს. ამ კვლევითი სამუშაოებით დადგენილია ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე ერთადერთი ბუნებრივად განახლებადი რესურსული პოტენციალი მიწისქვეშა სასმელი წყლის სახელმწიფო მარაგების სახით, რომელიც ხარისხობრივ-თვისობრივი რაოდენობით მსოფლიო მნიშვნელობისაა და მას შეუძლია, უზრუნველყოს დედამიწის მოსახლეობის მოთხოვნილება ყოველდღიური ბიოლოგიური ნორმიდან – (2,5 ლ/დღე-ღამ=18,5 მლრდ, ლ) გამომდინარე აქედან, ჭარბი გვრჩება კიდე 8,5 მლრდ ლიტრი ბუნებრივი სასმელი წყალი. დღეს ამ მოცულობის დასაქონლებული პროდუქტის ფიზიკური გატანის საშუალება საქართველოს არ გააჩნია; ამიტომ საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობისა და მისი ზრდის პერსპექტივების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფცია-პროგრამა სხვა დარგობრივ პროგრამებთან ერთად.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის ამოქმედების შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის გათვალისწინებით შესაძლებელია ვაწარმოოთ და შეუფერხებლად გავატაროთ 50 მლნ ტონა დაფასოებული სასმელი წყლის პროდუქცია ლიტრი 24 ცენტად, FOB საზღვარზე მიტანით, რაც საექსპლოატაციო დასაშვები მარაგების (301 კუბ.მ წმ-ში) მოცულობის 0,75%-ის, ანუ 2,5 კუბ.მ/წმ-ის ეკვივალენტია. ამ გზით შესაძლებელია, ჩვენმა ქვეყანამ ნაწილობრივ დააკმაყოფილოს პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილება დაფასოებულ სასმელ წყალზე. ქვეყნის ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მლრდ აშშ დოლარით, ანუ 32 მლრდ ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხები კი გაიზრდება 3 მლრდ აშშ დოლარით, შესაბამისად 8,4 მლრდ ლარით.

ნაპოვნი და მიღწეულია საერთაშორისო ბაზრის სეგმენტის მოპოვებისა და იქ ადგილის დამკვიდრების ინოვაციური გზები. შექმნილია ასეული მილიარდი დოლარის საქართველოს მატერიალური სიმდიდრე შესაბამისი ქონების ადამიანისთვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების რესურსულ პოტენციალზე მიბმით.

კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენებით შექმნილია ახალი ფინანსური ინსტრუმენტი, რაც ქვეყნის დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების განხორციელებისთვის მსოფლიო უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიას წარმოადგენს, გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად. ყოველივე ეს კი მიიღწევა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმით და მისი ამოქმედებით, რაზეც დიდი ხანია, ნაპოვნია საჭირო კაპიტალდაბანდებები შესაბამისი ტრანზაქციებით.

ამ იდეის განსახორციელებლად 2007 წლიდან ჩატარებულია უდიდესი სამუშაოები ამერიკისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების ფინანსურ ინსტიტუტებთან სტრატეგიული პარტნიორობის რანგში, რაშიც გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის, როგორც მეცნიერ-მკვლევარს, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის დარგში, „ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის“ კონცეფცია-პროგრამის ავტორთან და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელთან, საქართველოს დარგობრივი მიმართულებების რამდენიმე აკადემიის ნამდვილ წევრთან, აკადემიკოს **პაატა გიორგაძესთან** ერთად, რომელმაც თითქმის ორი ათეული წელი მოანდომა ამ უზარმაზარ შრომებს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

მე, როგორც მეცნიერი, ჩემი ქვეყნის მოკეთე და გულშემატკივარი, დარწმუნებული ვარ, რომ თუ ხელისუფალი ხელს შეუწყობს ამ პროგრამის განხორციელებას, ქვეყანა სწრაფად გამოვა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან და სულ მალე „საქართველო გაბრწყინდება“.

სამწუხაროდ, ხშირად გაისმის კულუარული მითქმა-მოთქმა, რომ ჩვენი სასმელი წყლები არ არის ხარისხიანიო. არა ბატონებო, ეს კიდევ შორს გამიზნული, საზოგადოებაში ნიჰილიზმისა და უიმედოობის ჩანერგვა-გაღვივების მტრული მეთოდია და ასეთ ავანტიურას ყურს ნუ დაუგდებთ. ამას ადასტურებს წყლის რესურსების, როგორც სახელმწიფო მარაგებში აყვანის პროცედურული კვლევითი ლაბორატორიული დასკვნები, ასევე მთავრობის მიერ 2014-15 წლებში ჩატარებული შერჩევითი რეგიონალური ლაბორატორიული კვლევები, რომელიც კომპეტენტურმა ლაბორატორია „გამამ“ შეასრულა მთავრობის დადგენილებით და 25 შერჩეულ ობიექტებიდან ყველა უმაღლესი ხარისხის და მიკრობიოლოგიურად სუფთაა და ყველა მათგანი აკმაყოფილებს ევროსტანდარტულ მოთხოვნებს.

მინდა, განსაკუთრებულად გამცნოთ 6 უმთავრესი საკითხი, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს გაეროს ანგარიშშია აღნიშნული:

1. XXI საუკუნე იქნება ხორბლისა და წყლის საუკუნე;

2. ამერიკის შეერთებული შტატების ნიუიორკისა და მიჩიგანის შტატის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების მეცნიერ-სპეციალისტებმა 2009-20011 წლებში მასშტაბური კვლევითი სამუშაოების შემდეგ ასეთი შემზარავი დასკვნა გამოიტანეს: **დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 80%, ანუ თითქმის 5 მილიარდი ადამიანი უახლოეს მომავალში სასმელი წყლის გარეშე დარჩება**. კვლევის ავტორთა ინფორმაციით, სწორედ მათ ჩაატარეს მსოფლიოს წყლით მომარაგების გლობალური ანალიზი და, სამწუხაროდ, იმედისმომცემი ვერაფერი აღმოაჩინეს. მსოფლიოში აფრიკისა და ზოგიერთ აზიურ ქვეყნებში 2,1 მილიარდი ადამიანი სასმელად ვარგისი წყლის გარეშე ცხოვრობს;

3. სტოკჰოლმის წყლის ინსტიტუტის მონაცემებით, ადამიანს საარსებოდ წელიწადში 1000 კუბური მეტრი სასმელი წყალი სჭირდება, რაც შეეხება უკიდურესად ღარიბ ქვეყნებს, მათი წყალმოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ჩამოუვარდება აუცილებელ მინიმუმს, რაც წლიურად 7,3 კუბურ მეტრს შეადგენს.

4. მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80 მლნ კაცით იზრდება. ბუნებრივია, ეს წყალზე მოთხოვნასაც ზრდის. მატება წლიურ 64 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს.

5. ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი სასმელი წყლის უმძიმეს დეფიციტს განიცდის მსოფლიოს უდიდესი ქალაქები: სან-პაულო, პეკინი, კაირო, ჯაკარტა, მოსკოვი, სტამბოლი, მეხიკო, ლონდონი, ტოკიო, მაიამი, კეიპტაუნი და ა.შ.

6. თანამედროვე საზოგადოების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წყლის რესურსების რაოდენობასა და ხარისხზე. წყალი ადამიანებს ეხმარება ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ხოლო უსაფრთხო სასმელი წყლისადმი შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.

– გაეროს ინფორმაციების ფონზე, როგორია საქართველოს შესაძლებლობები?

– საქართველო კავკასიის რეგიონის ქვეყანაა, მის მთიან ნაწილში გაშშვლებულია უძველესი ასაკის ქანები და სტრუქტურები, რომლებიც ღრმად იძირება წინამთიანეთსა და მომიჯნავე ვრცელი ველების თანამედროვე ნალექების ქვეშ. კავკასიონის ქედი განაპირობებს კლიმატურ თავისებურებებს, რომლებიც ხელს უწყობს მიწისქვეშა წყლების რესურსების ფორმირებას. ქედებზე და მის ფერდობებზე მრავლადაა ნაპრალები და ღრმა ხეობები, რომელთა საშუალებითაც ხდება ზედაპირული წყლების ჩაჟონვა დედამიწის წიაღში და მიწისქვეშა რეზერვუარების შევსება. დიდი ნაწილი ინფილტრირებული წყლებისა, განიტვირთება ხეობებში და ზღვაში, ხოლო მისი მცირე ნაწილი გამოი-

1. ქ. ფოთის წყალმომარაგების – ნოსირის სათავე

2. ქ. წყალტუბოს წყალმომარაგების – მიწაწითელის სათავე

3. ალაზნის არტეზიული აუზი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲥᲝᲜᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲥᲝᲜᲔᲗᲐ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲕᲐᲚᲗ!

ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ-ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ „ᲬᲧᲐᲚᲘ - ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ“

(ᲪᲘᲜᲐᲛᲔᲓᲘᲡᲘᲗ) **დღეᲨᲔᲬᲧᲝᲗ დღევანდელი მეტᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ – „ᲡᲘᲛᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲠᲗᲘᲐᲜᲘ“.**

„49 საუკუნის წინანდელ ნაშრომში „პერაკლეოპოლელი მეფის სწავლისადმი“ ავგმირი გვარწმუნებს, რომ **ფარაონს მოეთხოვება, არ გააკეთოს არაფერი არასამართლიანი, უკანონო. ირღვევა ეს პრინციპი, ირღვევა – სახელმწიფო.“**

როგორ დავუკავშიროთ ეს დღევანდელობას?!

ყველა პარლამენტარს, თითოეულ კანონმდებელს ეს არა მარტო წაკითხული უნდა ჰქონდეს, არამედ ამით უნდა ხელმძღვანელობდეს!

თუ სახელმწიფო მოღვაწემ სოლონმა 2500 წლის ᲬᲘᲜᲐᲛᲔᲓᲘᲡᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲣᲦᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲐᲐᲠᲡᲔᲑᲝᲓ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲨᲘ 1000 ᲙᲣᲑᲣᲠᲘ ᲛᲔᲢᲠᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲐᲓ ᲦᲐᲠᲘᲑ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲔᲠᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲖᲔ ᲩᲐᲛᲝᲣᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲛᲘᲜᲘᲛᲣᲛᲡ, ᲠᲐᲪ ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 7,3 ᲙᲣᲑᲣᲠ ᲛᲔᲢᲠᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ.

4. მსოფლიოს მოსახლეობა ყოველწლიურად 80 მლნ კაცით იზრდება. ბუნებრივია, ეს წყალზე მოთხოვნასაც ზრდის. მატება წლიურ 64 მლრდ კუბურ მეტრს შეადგენს.

5. ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი სასმელი წყლის უმძიმეს დეფიციტს განიცდის მსოფლიოს უდიდესი ქალაქები: სან-პაულო, პეკინი, კაირო, ჯაკარტა, მოსკოვი, სტამბოლი, მეხიკო, ლონდონი, ტოკიო, მაიამი, კეიპტაუნი და ა.შ.

6. თანამედროვე საზოგადოების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული წყლის რესურსების რაოდენობასა და ხარისხზე. წყალი ადამიანებს ეხმარება ჯანმრთელობის მდგომარეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ხოლო უსაფრთხო სასმელი წყლისადმი შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა.

– გაეროს ინფორმაციების ფონზე, როგორია საქართველოს შესაძლებლობები?

– საქართველო კავკასიის რეგიონის ქვეყანაა, მის მთიან ნაწილში გაშშვლებულია უძველესი ასაკის ქანები და სტრუქტურები, რომლებიც ღრმად იძირება წინამთიანეთსა და მომიჯნავე ვრცელი ველების თანამედროვე ნალექების ქვეშ. კავკასიონის ქედი განაპირობებს კლიმატურ თავისებურებებს, რომლებიც ხელს უწყობს მიწისქვეშა წყლების რესურსების ფორმირებას. ქედებზე და მის ფერდობებზე მრავლადაა ნაპრალები და ღრმა ხეობები, რომელთა საშუალებითაც ხდება ზედაპირული წყლების ჩაჟონვა დედამიწის წიაღში და მიწისქვეშა რეზერვუარების შევსება. დიდი ნაწილი ინფილტრირებული წყლებისა, განიტვირთება ხეობებში და ზღვაში, ხოლო მისი მცირე ნაწილი გამოი-

4. ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲭᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲘ

5. ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲐᲠᲢᲔᲖᲘᲣᲚᲘ ᲭᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲔᲑᲘ ᲡᲝᲤ. ᲫᲕᲔᲚ ᲥᲐᲜᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓ. ᲥᲡᲐᲜᲖᲔ (ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ)

ყენება სასმელი და სამეურნეო საჭიროებებისათვის.

მიწისქვეშა წყალი მოგვაგონებს ცოცხალ, დინამიურ სხეულს, რომლის განახლება ხდება მუდმივად და ძირეულად განსხვავდება ნავთობის, გაზისა და მყარი წიაღისეულისაგან, რომლებიც გამოლევადია. რაც შეეხება წყლის რესურსებს, მისი ბრუნვის ციკლი ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობს: წყალი ორთქლდება ოკეანეებიდან, ზღვებიდან და ხმელეთიდან, გადაიტანება ჰაერის მასების საშუალებით და ისევ უბრუნდება დედამიწას, მისი 20%-მდე ჩაიჟონება დედამიწის წიაღში და ავსებს მიწისქვეშა რეზერვუარებს, საიდანაც მიწისქვეშა წყალი ისევ განიტვირთება ზღვებში.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ, ᲩᲐᲕᲔᲠᲘᲝᲗ ᲐᲛ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ, ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲰᲝᲕᲗᲝᲗ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲣᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲭᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲡ.

საქართველოს მტკნარი, სასმელი წყლების შესწავლა მიმდინარეობს გასული საუკუნის შუა წლებიდან. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები და პრაქტიკოსი ჰიდროგეოლოგები, რომელთა შორის აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები იოსებ ბუაჩიძე და გურამ ბუაჩიძე, სავლე ჩიხელიძე, ლევან ხარატიშვილი და სხვები.

ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲫᲘᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲓᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲮᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲠᲣᲜᲢᲘᲡ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ (ᲑᲣᲚᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ, ᲭᲝᲞᲝᲠᲢᲘᲡ, ᲡᲐᲒᲣᲠᲐᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲔᲑᲘ), ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲥᲡᲠᲬᲐᲢᲐᲪᲘᲝ, ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘ (A ᲓᲐ B ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘᲗ), ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲡ 8,1 ᲙᲣᲑ. ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲨᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲢᲝᲤᲔᲜᲪᲘᲐ ᲒᲐᲐᲩᲜᲘᲐ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲢᲔᲖᲘᲣᲚ ᲐᲣᲖᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲥᲡᲠᲬᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲡ 1 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲙᲣᲑ. ᲛᲔᲢᲠᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲟᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲪᲐᲕᲘᲡ ᲝᲠᲛᲐ�გᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲝᲚᲘᲐ. ᲬᲧᲚᲘᲡ ᲐᲛ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲓᲐᲜ, ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲜᲔᲕᲘᲐᲜᲘ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲓᲝᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ 350 ᲛᲚᲜ ᲙᲣᲑ. ᲛᲔᲢᲠᲘ, ᲠᲐᲪ 15-ᲯᲔᲠ ᲛᲔᲢᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲛᲔᲚ ᲬᲧᲐᲚᲖᲔ. ᲛᲐᲡ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲛᲓ. ᲥᲡᲜᲘᲡ ᲓᲐᲬᲜᲔᲕᲘᲐᲜᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲓᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲠᲬᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘ (0,95 ᲙᲣᲑ.ᲛᲔᲢᲠᲘ ᲬᲐᲛᲨᲘ) ᲐᲡᲔᲕᲔ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ. �გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲓᲐᲫᲘᲔᲑᲣᲚᲘᲐ �თᲠᲘᲐᲚᲔᲗᲘᲡ (ᲓᲐᲨᲑᲐᲨᲘᲡ) ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ, ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲓᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲠᲬᲐᲢᲐᲪᲘᲝ ᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲘ (A ᲓᲐ B ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘᲗ) ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲔᲡ 6,1 ᲙᲣᲑ. ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲬᲐᲛᲨᲘ.

მიუხედავად, მტკნარი, სასმელი წყლის დამტკიცებული მარაგებისა, თბილისის სასმელი წყლით მომარაგების 90% ხდება ჟინვალის წყალსაცავის ზედაპირული წყლებით, რაც მიუთითებს მიწისქვეშა წყლების რესურსების არარაციონალურ გამოყენებაზე.

საქართველოს დანარჩენი ქალაქების წყალმომარაგება ხდება მდინარეთა აუზების გრუნტის წყლების საშუალებით: მდ. ყვირილას გრუნტის წყლებით მარაგდება ქ. ზესტაფონი; მდ. ხრამისა და დებედას – ქ. რუსთავი; მდ.ლიახვის – ქ. გორი; მდ. ტეხურას – ქ. ფოთი; მდ. ცხენისწყლის, გუბისწყლისა და რიონის – ქალაქები: ქუთაისი, წყალტუბო და სამტრედია; მდ. გუმისთის – ქ. სოხუმი და ა.შ. (იხ. სურ. 1 და 2).

მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის არტეზიული ჰორიზონტები გავრცელებულია აფხაზეთის შავიზღვისპირეთში, კოლხეთის, ტირიფონ-მუხრანის, მარნეული-გარდაბნის, ალაზნის დაბლობებზე და იორი-ალაზნის შუამდინარეთში (იხ. სურ. 3).

მიწისქვეშა წყლების უკვე გამოვლენილი საექსპლუატაციო რესურსები შესაძლებელია, დღესვე წარმატებით იქნას ათვისებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, ათვისებულია მისი მცირე ნაწილი, რაც ნიშნავს, რომ შავ და კასპიის ზღვებში განიტვირთება ამ რესურსების უდიდესი ნაწილი, რომელთა ათვისება უდავოდ ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ვალუტის შემოდინებას, ახალი საწარმოების გახსნას, მუშახელის დასაქმებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

მტკნარი, სასმელი წყლის საბადოები დაძიებულია, საექსპლუატაციო მარაგები დამტკიცებული, რაზედაც დაიხარჯა სახელმწიფო სახსრები, შესრულდა ფიზიკური სამუშაოები, გაიბურღა საექსპლუატაციო ჭაბურღილები, საიდანაც ათეული წლების განმავლობაში თვითდინებით უსარგებლოდ იღვრება ეკოლოგიურად სუფთა, მტკნარი მაღალი სასმელი თვისებების არტეზიული წყლები.

გარდა რესურსების არარაციონალური ხარჯვისა, წყალი აჭაობებს და ეკოლოგიურად აბინძურებს გარემოს: იზრდება სარეველა მცენარეები, ბუჩქები, რის გამოც, ჭაბურღილებთან მისვლა შეუძლებელია. ასეთი მდგომარეობაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტშიც, ქ. ლანჩხუთთან და სოფელ ჯურკვეთთან, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე; მცხეთის მუნიციპალიტეტის მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ძველ ქანდასთან და ა.შ. (იხ. სურ. 5).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ, ᲙᲔᲠᲫᲝ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ; ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲗ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲔᲒᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ.

სასმელი წყლების პროექტების განხილვა 1994 წლიდან მიმდინარეობს ქვეყნის სამთავრობო ინსტიტუტებში, მათ შორის: პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

სააქციო საზოგადოების მიერ ჩატარებულია მოსამზადებელი სამუშაოები, სახელდობრ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შერჩეულია პირველი რიგის, პერსპექტიული, სასმელი წყლის საბადოები, რომლებზეც არსებობს დამტკიცებული საექსპლუატაციო მარაგები. ამ საბადოებზე დღესვეა შესაძლებელი მტკნარი, სასმელი წყლის ჩამოსასხმელი ქარხნების მშენებლობა: 1. ქართლის რეგიონი (მუხრანისა და ტირიფონის დაბლობი); 2. იმერეთის რეგიონი (მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირი); 3. გურიის რეგიონი (ლანჩხუთი, ჯურკვეთი); 4. სამეგრელოს რეგიონი (აბაშა, სენაკი, ხობი, კახათი, ინგირი); 5. კახეთის რეგიონი (ლაგოდეხი – სანიტარიული ზონა); 6. ქვემო ქართლი (წალკა, დაშბაში; ახალქალაქი-ბეჟანო) და ა.შ.

საქართველოს მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსი შეადგენს 620 კუბ. მეტრს/წმ ან 53,5 მლნ კუბ. მეტრს/დღე-ღამეში, ხოლო საექსპლოატაციო დასაშვები მარაგების ნორმა შეადგენს 26 მლნ კუბ. მეტრს/დღე-ღამეში; რაც 24 საათის განმავლობაში 26 მილიარდი ლიტრი მაღალხარისხიანი სასმელი წყლის დამტკიცებული სახელმწიფო მარაგია და იგი 301 კუბ.მ/წმ-ში მიწისქვეშა სასმელი წყლის რესურსული პოტენციალის ეკვივალენტია. გარდა რესურსების სიუხვისა, სასმელი წყლები გამოირჩევა უნიკალურობით, რომელიც მდგომარეობს მისი შედგენილობის ხარისხობრივ მაჩვენებლებში და ეკოლოგიურ სისუფთავეში, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მსოფლიოში მიმდინარე, ტექნოგენური დაბინძურებისა და „გლობალური დათბობის“ ფონზე.

საქართველოსთან შედარებით, აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებლები 5-ჯერ, ხოლო სომხეთის – 12-ჯერ ნაკლებია.

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა განიცდის მტკნარი, სასმელი წყლის დეფიციტს, მაგრამ წყლის ბაზარზე შესვლა შეუძლებელია, რადგან მას აკონტროლებს გარკვეული ქვეყნების ბიზნესწრეები, რომლებიც არ თმობენ პოზიციებს.

ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ, ᲐᲠᲐ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲙᲐᲤᲕᲐ (ᲠᲐᲪ ᲐᲠᲐᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ), ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲐ, ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ. Ე.Ი. ᲘᲓᲔᲐ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲢᲙᲜᲐᲠᲘ, ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲔᲑᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲤᲝᲜᲓᲝ ᲑᲘᲠᲟᲔᲑᲖᲔ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠ ტᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓ�გᲝᲛᲘᲗᲐᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲬᲧᲘᲡ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ, 2007 ᲬᲚᲘᲡ Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ �ᲒᲣᲤᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ �გᲐᲮᲚᲓᲐᲗ – 2.1 ᲛᲚᲠᲓ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ �გᲐᲮᲓᲐ 3-ᲛᲚᲠᲓ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ, ᲮᲝᲚᲝ 2018 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ-ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲗ, �გᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ (3+2)=5 ᲛᲚᲠᲓ ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲐᲡ. ᲐᲡᲔᲕᲔ �პᲝᲠᲢ-ᲢᲔᲠᲛᲘ�ნᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲗᲐ �ᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲨᲔᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲞᲐᲐᲢᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲘᲓᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲐᲮᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲢᲐᲜᲐ-ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲖᲔᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲐᲛᲔᲠᲘ�კᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲜᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓ. ᲥᲡᲐᲜᲖᲔ (ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ) ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲣᲨᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲐᲡ.

ᲘᲛᲔᲓᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲫᲐᲛᲓᲔ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠ ᲓᲐᲑᲘᲜᲫᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ „�გᲚᲝᲑᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲗᲑᲝᲑᲘᲡ“ ᲤᲝᲜᲖᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲫᲐᲛᲓᲔ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ ᲒᲔᲛᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲬᲔᲡᲓᲐᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, სააგენტოს საფასურის წესში შესული ცვლილებების თანახმად, იმ გემებს, რომლებიც საქართველოს წყლებში ერთი და იგივე შემოსვლის განმავლობაში რამდენიმე ნავსადგურში შევლენ, ნებისმიერ ნავსადგურში პირველადი შესვლისას მოუწევთ სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის სრული ოდენობით გადახდა, ხოლო მეორე და შემდგომ ნავსადგურში შესვლის შემთხვევაში საფასური 50 პროცენტით შეუმცირდებათ.

აქამდე არსებული წესის თანახმად, გემს საქართველოს თითოეულ ნავსადგურში შესვლისას ყოველ ჯერზე სრული საფასური უნდა გადაეხადა, რის გამოც გემთმფლობელები თავს არიდებდნენ ტვირთების სხვადასხვა ნავსადგურში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) დაცლას, რაც ტვირთების მიმღები კომპანიების უკმაყოფილებას იწვევდა.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ,
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ-ის მიწვეული ლექტორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

12. ვაქცინაციის მოწინააღმდეგენი

მოსახლეობას ანუგეშებენ, ატყუებენ, რომ ვაქცინები რუსეთის გამოშვებული კი არ არის, არამედ ფრანგულია ან ამერიკული და, ამდენად, უვნებელია, მაგრამ იმას კი უმალავენ, რომ თავად საფრანგეთში, სადაც სწორედ ფრანგულ ან ამერიკულ ვაქცინებს იყენებენ მხოლოდ, ყოველწლიურად 15 000 საჩივარი შეაქვთ მოქალაქეებს სასამართლოებში ვაქცინაციისშემდგომი გართულებების გამო.

განა ყოველ ადამიანს უფლება არა აქვს, იცოდეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე ვაქცინებში შემავალი ნებისმიერი შხამი?! ყოველგვარი სამეცნიერო კვლევების გარეშე გვეუბნებიან, რომ ეს ტოქსიკური ინგრედიენტები უვნებელია მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ძალზე მცირე რაოდენობაა ვაქცინებშიო. მაგრამ, ჯერ ერთი, არც ამ მცირე რაოდენობის შხამების ზემოქმედებაა შესწავლილი და, მეორეც, შეერთებულ შტატებში (კანადაშიც) **შხამების ეს მცირე რაოდენობაც 49-ჯერ, ანუ ვაქცინების 49 დოზით შეჰყავთ ახალშობილების და ბავშვების ორგანიზმში 6 წლის ასაკამდე!**

მთავრობა და ჯანდაცვის სამინისტრო ახსნა-განმარტებით, არგუმენტებითა და გაჩენილ კითხვებზე ამომწურავი პასუხებით უნდა ცდილობდეს ხალხის დარწმუნებას აცრების ეფექტურობაში და უვნებლობაში, მაგრამ, ამის ნაცვლად იგი (ამერიკაში, რუსეთში, ჩვენთანაც და უმეტეს სახელმწიფოებში) დაშინების გზით ან კანონის ძალით ცდილობს, აიძულოს მოსახლეობა, აცრას ბავშვები და თავადაც აიცრას გრიპზე ყოველწლიურად. ასე იმიტომ იქცევა, რომ მას არ ძალუძს ამჟამად წარმოქმნილი დიდი პრობლემის გადაჭრა:

როგორ გინდა აცრების, მით უფრო, ყველანაირი ვაქცინის უვნებლობაში დაარწმუნო განათლებული ადამიანი, რომელსაც ეცოდინება, რომ უკვე ათეულ ათასობით გართულების შემთხვევაა დადასტურებული მხოლოდ აშშ-ში და დაზარალებული ოჯახებისთვის კომპენსაციის სახით სახელმწიფოს მილიარდობით დოლარი აქვს გადახდილი და, რომ **მილიონერები თავიანთ შვილებს არ ცრიან!**

განსაკუთრებით, წითელას სამვალენტიანი ვაქცინის წინააღმდეგ გამოდიან თითქმის ყველა სახელმწიფოში, ყველაზე მეტი სიკვდილიანობა და უმძიმესი გართულებებიც სწორედ ამ ვაქცინასთან არის დაკავშირებული. მაგალითად:

საფრანგეთში წინააღმდეგია **მარინ ლე პენის** „ნაციონალური გაერთიანება“;

იტალიაში – თავად კოალიციური მთავრობა (იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა **მატეო სალვინიმ** 2018 წელს საერთოდ გააუქმა ვაქცინაციასთან დაკავშირებით გამოცემული მოთხოვნები, უწოდა რა იმუნიზაციას **„უსარგებლო, ბევრ შემთხვევაში კი – საშიში და მავნე“);**

ამერიკაში – რესპუბლიკური პარტია, პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** ჩათვლით, რომელიც სავალდებულო ვაქცინაციის წინააღმდეგია და ირწმუნება, რომ **სახელმწიფო უწყებები მალავენ იმ მონაცემებს, რომლებითაც მტკიცდება, რომ აუტიზმი და თავის ტვინის დაზიანება იმუნიზაციით არის გამოწვეული** (CDC მართლაც რომ მალავდა მონაცემებს და ცრუობდა 14 წლის მანძილზე, თითქოსდა, წითელას ვაქცინა არაფერ შუაში ყოფილიყოს აუტიზმთან. ეს სკანდალური ფაქტი ამ ცენტრის თანამშრომელმა, დოქტორმა **ვილიამ ტომპსონმა** გაახმაურა);

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა **ტონი ბლერმა** (2002 წელს მან საჯაროდ (!) განაცხადა უარი, წითელაზე აეცრა თავისი ორი წლის ბიჭი);

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი, „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი **ბილ გეიტსი** (იგი სავალდებულო ვაქცინაციის კამპანიის ყველაზე აქტიური მონაწილეა და, ყველას საყოველთაო აცრებისკენ მოუწოდებს; 1996-2002 წლებში დაბადებული საკუთარი **სამი შვილიდან კი, ერთიც არ აცრა არანაირი ვაქცინით**. ეს ინფორმაცია მისმა პირადმა ექიმმა გაახმაურა დახურულ სამედიცინო სიმპოზიუმზე სიეტლში (ვაშინგტონი);

დაბოლოს, არ აცრა თავისი ქალიშვილები (ღორის გრიპზე) არც **პრეზიდენტმა ობამამ!**

13. საყოველთაო ვაქცინაცია, აშშ-ის ძირითადი სტრატეგიული ამოცანა და დეპოპულაცია

საკუთარი პოზიცია ვაქცინებთან დაკავშირებით, ბილ გეიტსმა თავადვე გაამჟღავნა 2010 წელს ლონგ ბიჩში (კალიფორნია) გამართულ დახურულ კონფერენციაზე (სახელწოდებით **TED 2010**) წარმოთქმულ სიტყვაში – **„განახლება ნულისკენ“**. გლობალური დათბობის თავიდან ასაცილებლად მან წამოაყენა (2050 წლისთვის) მსოფლიოში ნახშირორჟანგის ხელოვნურად შემცირების წინადადება: „რა ქმნის ნახშირორჟანგს? ესენი არიან ადამიანები, ეს არის ენერგია, რომელსაც ადამიანები მოიხმარენ და, ამის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი. როგორ შეგვიძლია მისი შემცირება? **ყველაზე მარტივი იქნება ადამიანების მოშორება...** დღეს მსოფლიოში 6,8 მილიარდი ადამიანია. ეს რიცხვი დაახლოებით 9 მილიარდამდე გაიზრდება, მაგრამ **თუ ჩვენ ძალიან მოვინდომებთ და ახალ ვაქცინებზე, რეპროდუქციული** ჯანმრთელობის სფეროზე **ვიმუშავებთ,** მას (მოსახლეობას და, შესაბამისად, – ნახშირორჟანგსაც) 10-15%-ით შევამცირებთ... **მე ძალიან მიყვარს ვაქცინები...“**.

რას ერჩით, უყვარს კაცს ვაქცინები, ოღონდ არა საკუთარი, არამედ სხვისი შვილებისთვის! **ტონი ბლერმაც,** პრინციპში, იგივე განაცხადა: **„ჩემი(!) შვილის აცრაზე ვამბობ უარს, თორემ, როგორც პოლიტიკოსი(!) მხარს ვუჭერ საყოველთაო (სხვების!) ვაქცინაციას“!**

მოკლედ და კონკრეტულად, ძალზე გასაგებად გვეუბნებიან, რომ ვაქცინები არა თქვენი ჯანმრთელობისთვის, არამედ პლანეტის გაზრდილი მოსახლეობის, თქვენს შესამცირებლადაა საჭიროო! 2016-ში **გეიტსმა** უკვე პირდაპირ განაცხადა, რომ **ვაქცინები მოსახლეობის შესამცირებლად, დეპოპულაციის მიზნით იქმნება!** 2019 წლის თებერვალში კი დააზუსტა, რომ **ვაქცინაცია ოთხჯერ(!) შეამცირებს მოსახლეობას** (ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება ცნობა იმის შესახებ, რომ ბილ გეიტსის მშობლები ვაშიგტონის მასონური ლოჟის წევრები იყვნენ!)!

მითი და რეალობა

აცრების შესახებ და ზოგი რამ გენმოდიფიცირებულ კულტურებზეც

„ჩვენ კვდომას ვიწყებთ იმ დღეს, როდესაც სიმართლეს ვიგებთ და ამის შესახებ ხმას არ ამოვიღებთ“!

მარტინ ლუთერ კინგი

მეუღლე მელინდასთან ერთად დაარსებული (2000 წელს) **„ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის“** მსგავსი ფინანსების მქონე (საწყისი კაპიტალი – 42,9 მილიარდი დოლარი, რასაც მეორე მილიარდერმა **უორენ ბაფეტმა** 30 მილიარდი დაამატა 2006 წელს) სხვა მეორე ფონდი არ არსებობს! **გეიტსების ფონდი ამერიკის და მსოფლიო საქმეებზე გავლენას ახდენს არა მარტო თავისი უზარმაზარი რესურსებით, არამედ „კონცეფციების და განვითარების პოლიტიკის ფორმირების გზით“!** იგი გახდა წამყვანი მსოფლიო მოთამაშე გლობალური ჯანდაცვის სფეროში და, ასევე, – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უმსხვილესი **სპონსორი**. ამ ორგანიზაციაზე ფონდის უდიდესი ზეგავლენით გადაწყდა კიდეც **2011-2020 წლების ვაქცინების ათწლეულად** გამოცხადება და დამუშავდა გლობალური ვაქცინაციის გეგმა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მალარიის სფეროში კვლევების ყოფილი დირექტორი, დოქტორი **არატა კოჩი გეიტსების ფონდს 2008 წელს ახასიათებდა, როგორც „კარტელს, რომელიც გასაქანს არ აძლევს, თრგუნავს მეცნიერულ შეხედულებებს და, რომელიც საკუთარი თავის გარდა ანგარიშვალდებული არ არის არავისთან“!** ასეთია თანამედროვე გლობალური ფილანტროპია.

ისმის კითხვა: ასე თავგამოდებით რატომ იცავენ ვაქცინების მწარმოებელ კომპანიებს დაავადებათა კონტროლის ცენტრი (CDC), საკვები პროდუქტების და მედიკამენტების სამმართველო (FDA), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) და სამედიცინო კლინიკები? თავად ამერიკის ხელისუფლებამ რატომ გაათავისუფლა ისინი ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან 1986 წელს მიღებული კანონით?! რითი ავხსნათ ყოველივე? უცოდინარობით და არაპროფესიონალიზმით? შეუძლებელია, თვალი დახუჭო ვაქცინაციით გამოწვეული გართულებების ათეულ ათასობით ფაქტზე, **40 წელიწადში აუტიზმის შემთხვევებმა 300-ჯერ(!) იმატა:** თუ 1978 წელს ყოველ 15 000 ბავშვზე აუტიზმით შეპყრობილი მხოლოდ ერთი ბავშვი მოდიოდა, 1985 წელს ეს შეფარდება 1:2 500 იყო, 1995-ში – 1:500, 2005-ში – 1:150, 2 013-ში კი – 1:45! ახალშობილთა რაოდენობაზე გადაანგარიშებით, რომელიც სამიდან ოთხ მილიონამდე მერყეობდა ამ პერიოდში, სულ ცოტა 600 000-ზე მეტ აუტიზმით შეპყრობილ ადამიანს მივიღებთ!

ამიტომ, რჩება ერთადერთი, – დაინტერესება.

გეიტსების ფონდზე უკვე მოგახსენეთ, მთლიანად ჯანდაცვის სისტემაზე – საავადმყოფოებზე, კლინიკებზე, აფთიაქებზე, სამედიცინო უნივერსიტეტებზე და ჟურნალებზე კი ფარმაცევტული კომპანიები აფართოებენ და ზრდიან კონტროლს, რაც, მატერიალური დაინტერესების გარეშე, ყოველად წარმოუდგენელია! ვაქცინაციის წესების და რეკომენდაციების დამდგენი ადამიანები თავად იღებენ სარგებელს ვაქცინების რეალიზაციისგან. მაგალითად, ქ-ნი **ჯული გერბერდინგი,** რომელიც რვა წლის მანძილზე (2002-2009 წლებში) სათავეში ედგა დაავადებათა კონტროლის ცენტრს, 2010-ში ვაქცინების მწარმოებელი უმსხვილესი ფირმის „Merck“-ის ვაქცინების განყოფილების პრეზიდენტი გახდა (ამ ფაქტმა **არჩილ კბილაშვილი** გამახსენა, რომელმაც მთავარი პროკურორის სავარძლიდან ოქროს მომპოვებელი, გარემოს არნახულად დამბინძურებელი და საყდრისის ამფეთქებელი კომპანიის – RMG-ის იურისტის სავარძელში გადაინაცვლა); საიმუნიზაციო პრაქტიკის სათათბირო კომიტეტის წევრმა, დოქტორმა **პოლ ოფიტმა** კი საკუთარი ვაქცინა შეიმუშავა და დააპატენტა.

ყველა ზემოთ ნახსენები ორგანიზაცია თუ პიროვნება მხოლოდ შემსრულებელია და როგორც უმეტესობას, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა აინტერესებს, არც მილიარდერებისგან შემდგარი მსოფლიოს ე.წ. ალტერნატიული ხელისუფლების პოლიტიკის გაეგება რამე, ხოლო ამ ხელისუფლების ანტიადამიანური გეგმების – დეპოპულაციის შესახებ კრიტიკულ მოსაზრებებს კი არასერიოზულად, ე.წ. „შეთქმულების თეორიებად“ მიიჩნევს.

მოსახლეობის 90 %-ით შემცირების წინადადება 2006 წელს ტეხასის შტატის საუკეთესო მეცნიერად აღიარებულმა ეკოლოგმა **ერიკ პიანკამ** წამოაყენა მეცნიერებათა აკადემიის შეკრებაზე ლამარის უნივერსიტეტში 2009 წელს, რასაც ასობით მეცნიერი ფეხზე ამდგარი ოვაციით მიესალმა! კიდევ უფრო „რაციონალური“ წინადადება წამოაყენა მომდევნო წელს CNN-ის მფლობელმა მილიარდერმა **ტედ ტერნერმა** – „მოსახლეობის 95 %-ით შემცირება იქნებოდა იდეალურიო“.

ცხადია, ამგვარი „კაცთმოყვარე“ მოსაზრების საჯაროდ გახმიანებას და ტაშის დაკვრასაც ვერავინ გაბედავდა, ეს იდეა სულ ზედა ეშელონებში რომ არ ყოფილიყო განხილულ-მოწონებული. ეს ნამდვილად ასეა – „ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების შემსწავლელი მემორანდუმი-200“-ით (NSSM 200) **აშშ-ის ძირითად სტრატეგიულ ამოცანად მსოფლიოში დეპოპულაცია გამოცხადდა ჯერ კიდევ 1974 წელს,** 45 წლის წინათ! აი, რას ამბობდა ყველასთვის ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, სხვადასხვა დროს სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტების მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში, ამჟამად 96 წლის **ჰენრი კისინჯერი** 1978 წელს: **„ამერიკის პოლიტიკა მესამე სამყაროს ქვეყნების მიმართ** (ასეთებს მივეკუთვნებით ჩვენც, უკრაინაც, რუსეთიც და კიდევ ბევრი სხვა) **უნდა იყოს ერთი – დეპოპულაცია“!** ამერიკის თავდაცვის მინისტრი **ვილიამ კოენი** 1997 წლის აპრილში კონგრესში გამოსვლისას აცხადებს: **„ბი-**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №137-139

ოლოგიური იარაღის თანამედროვე ფორმები შეიძლება მიზანდასახულად იქნას მიმართული სპეციფიკური (ანუ ვისი? – ი. ლ.) **გენოტიპების წინააღმდეგ და ბიოლოგიური ომი** (ვინ ვის წინააღმდეგ აწარმოებს ამ ომს? – ი.ლ.) **უმართავი საშინელებიდან და ტერორიდან ვაქციოთ უაღრესად სასარგებლო პოლიტიკურ ინსტრუმენტად“!**

როკფელერის უნივერსიტეტის პრეზიდენტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, ბრიტანელი ბიოქიმიკოსის, **სერ პოლ ნერსის** სახლში მანჰეტენზე გამართულ ფარულ შეხვედრაზე (2009 წლის მაისში) ამერიკის უმდიდრესმა ადამიანებმა **ბილ გეიტსმა, უორენ ბაფეტმა, დევიდ როკფელერმა-უმცროსმა, მაიკლ ბლუმბერგმა, ტედ ტერნერმა, ჯორჯ სოროსმა** და სხვებმა განიხილეს დედამიწის ჭარბმოსახლეობის პრობლემა. ამ შეხვედრის შესახებ მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გახდა ცნობილი. ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით ეს განპირობებული იყო იმით, რომ მათ არ უნდოდათ დისკუსიაში **განვითარებადი** ქვეყნების ჩართვა და, არც ის სურდათ, რომ შეხვედრის მონაწილეები გაზეთებში **„მსოფლიოს ალტერნატიულ ხელისუფლებად“** ყოფილიყვნენ წარმოჩენილნი.

ძნელია იმის თქმა, თუ შეხვედრის მონაწილეებიდან ვის რა ადგილი უკავია ხალხზე „მაფიქრალ“ „მსოფლიოს ხელისუფლებაში“, მაგრამ იმის მიხვედრა კი ძალიან ადვილია, თუ ვინ, რომელი სახელმწიფოების ხალხები მოყვებიან „შემცირებაში“! რა საჭიროა მიხვედრა, როცა **დევიდ როკფელერი** პირდაპირ ამბობს: **„ჩვენთვის შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი გლობალური გეგმების განხორციელება, ისინი დროზე ადრე რომ გამჟღავნებულიყო. მაგრამ, ახლა მსოფლიო მომზადებულია გლობალური ხელისუფლების მისაღებად. რჩეული ელიტის და ბანკირების ზენაციონალური სუვერენიტეტი უდავოდ ბევრად უმჯობესია, ვიდრე გასული საუკუნეების ეროვნულად ორიენტირებული სახელმწიფოები“!** როკფელერის ეს სიტყვები (კისინჯერის ზემოთ მოყვანილთან ერთად) გლობალური მთავრობის შემადგენლობასაც ნათელს ჰფენს და შავ სიაში მოხვედრილ, მათი აზრით, უვარგის, ანუ ეროვნულ სახელმწიფოებზედაც გარკვევით მიუთითებს!

როცა ვიცით მსოფლიოზე მაფიქრალი ამ „ბრძენკაცების“ ამგვარი „ჰუმანური“ გეგმების შესახებ, უკვე აღარც ის მეთოდებია გასაკვირი, რომლებსაც ისინი ამ მიზნის – დეპოპულაციის მისაღწევად იყენებენ! დაბინძურებულ გარემოს, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, თავი ავარიდოთ; გენმოდიფიცირებულ პროდუქტსაც სახელმწიფო (ჯერჯერობით(!) არ გვაძალებს, თუმცა, არც კრძალავს და ჩუმჩუმად გვაპარებს (ხან სუფთა, ხანაც მინარევების სახით); მედიკამენტოზური მკურნალობაც – წამლების შერჩევა და მიღება, ასე თუ ისე, რაღაც დოზით მაინც, ჩვენზეა დამოკიდებული; აი, ვაქცინაციას კი ვერაფერს ვუხერხებთ, რადგანაც დეპოპულაციის დამგეგმავი ამერიკელი მილიარდერების მიერ გაკონტროლებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და უმეტესი სახელმწიფოების მიერ შემოღებულ სავალდებულო ვაქცინაციას მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერსად ვემალებით! როდესაც აცრებზე უარისმთქმელი ადამიანის შვილებს ბაღის და სკოლის კარებს უკეტავენ, როცა თავად მათ აჯარიმებენ და სამსახურიდანაც ათავისუფლებენ და, როცა ყველა ამ ძალადობას კანონით(!) ამყარებს სახელმწიფო, რაღა თქმა უნდა, **ვაქცინაციის არსში ჩაუხედავ და დაშინებულ ადამიანს** (ასეთი კი, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობაა) **ადვილად იმორჩილებენ!**

2006 წელს **ბუშმა უმცროსმა** ხელი მოაწერა კანონს, რომლის ძალითაც **„ინფექციური დაავადებები მიეკუთვნება ეროვნულ საგანგებო მდგომარეობას“** და, აქედან გამომდინარე, იძულებითი ვაქცინაცია სავალდებულო ხდება, ასე ვთქვათ, ეროვნული უბედურების თავიდან ასაცილებლად და, ამიტომაც **ყოველი ადამიანი, რომელიც საგანგებო მდგომარეობის, ანუ კანონის წინააღმდეგ წავა და უარს იტყვის აცრაზე, ადვილად შეიძლება წარმოჩენილ იქნას, როგორც ტერორისტი, ხალხის მტერი(!)** – მტრების წინააღმდეგ კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ჯარიმებით და სამსახურიდან დათხოვნით არ იფარგლებიან, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშიც აძლევენ! და, ამას უკვე ითხოვენ კიდეც ზოგიერთ სახელმწიფოში! ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ამერიკის პრეზიდენტის პოზიცია. აი, რას წერდა **ტრამპი** ტვიტერში 2014 წლის მარტში: **„მე რომ პრეზიდენტი ვიყო, არ დავუშვებდი აუტიზმის გამომწვევ მასობრივ ვაქცინაციას“!** ხოლო პრეზიდენტის რანგში, ინაუგურაციიდან ცხრა დღის შემდეგ კი, თავის პირველ პრესკონფერენციაზე ვაქცინაციით გამოწვეულ ბავშვთა სიკვდილიანობაზე შემდეგი განაცხადა: **„...ეს მკვლელობები ფარმაცევტული ინდუსტრიის კისერზეა“!**

იაკობ ლეჟავა
ტ. 593-55-04-00

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ:
მორიგ ნომერში – წითელას ბოლოდროინდელი აფეთქებები.

ᲪᲘᲠᲐ ᲨᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲕᲐᲠ ᲬᲣᲗᲘᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ...

ჩვენს ძვირფას კოლეგას, ცნობილ პოეტსა და ჟურნალისტს, გამორჩეული ხელწერის შემოქმედს, ქუთაისელ კახელს (ყვარლის რაიონიდან გამოთხოვილია იმერეთში), საუკეთესო შვილებისა და შვილიშვილების დედას და ბებიას ᲪᲘᲠᲐ ᲨᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ დღეს, 12 ივლისს, დაბადების დღე აქვს.

გულწრფელად ვულოცავთ ამ ლამაზ თარიღს ჩვენს ცირას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ!..

რად უგრალოოგ, სტუმარო,
ძლივს გამჩნევთ
ირგვლივ მყოფებში!
– არ შეგაწუხებთ,
მე მხოლოდ
გავლით ვარ
წუთისოფელში!

●

არც მარმარილოს კოშკებში,
არც სასახლეთა მარმარში,
არც აბრეშუმის შრიალში,
არც დიბასა და ატლასში,
მარგალიტსა და ზურმუხტში,
ალმასებსა და ბადახშში, –
იესო იშვა ბაგაში!

●

ატორტმანებულ
ზღვაზე, როგორც
აფრის აშვება,
მიყვარს ხანდახან
ბედ-იღბალთან გათამაშება!

ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ

ამოირბინა ბალახმა კიბე
და ფანჯარაში რომ შეიხედა, –
გაქვავდა! –
ისე იყურებოდა
კედლიდან
ჩუმი ლოდინით
დედა...

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

სასწრაფოდ უნდა გავიქცე
კახეთში! –
სადაცაა მერცხლები
მოფრინდებიან და –
დედაჩემი რომ აღარ დახვდებათ,
რა უნდა ქნან!..

ᲜᲝᲔ

ვიძირები არსებობის წარღვნაში
და მივძახი კიდობანში ნოეს:
– შენს არჩეულ ცხოველებში
რომ ზიხარ.
დასახრჩობად ვის იმეტებ,
პოეტს?

●

უფლის წელს,
გახსოვს?
ისე გაბრწყინდა
აღმოსავლეთით ლურჯი ცისკარი,
ცამ გადაიხსნა უხვი წიაღი
ზესიკაშკაშით და სიციაგით,
ანგელოზების ფრთების შრიალში
თეთრი სუფევა დავლანდე ღმერთის,
უფლის წელს,
გახსოვს?
ისე გიყვარდი,
სულ ერთადერთი
ვიყავი შენთვის!

ᲡᲐᲙᲣᲗᲘᲠᲔᲑᲐ

ისე ისაკუთრებენ
ზღვას და ხმელეთს ყოფითა,
თითქოს აღარასოდეს
წავლენ წუთისოფლიდან –
შენ მეგონე ჩემი და –
შენც
ვიღაცის ყოფილხარ!

ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

თავქვეშ მზე მედო,
საგებად –
მინდვრების ბალახ-ბულახი,
ვარსკვლავი ხელებს მიქნევდა –
არ წაშალოო სურათი –
ცისარტყელაზე ავრბოდი –
ოკეანიდან ზეცამდე,
მიწაზე ვეღარ ჩამოველ,
რამდენიც აღარ ვეცადე.

ᲬᲕᲘᲛᲐ

შენი ცივი ქვის კიბეზე
წვიმა იჯდა და – ტიროდა,
ჩარაზულ კართა მიღმიდან
შუქი გაღწევას ცდილობდა,
ვიღაც ალერსით თვრებოდა,
ვიღაცა ვნებით კიოდა –
წვიმას შენი ხმა სწყუროდა,
შენი დანახვა შიოდა,
უშენოდ ისე თრთოდა და
უშენოდ ისე სციოდა –
იჯდა გაყინულ კიბეზე
და –
ცრემლი ღვარად სდიოდა.

ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ...

ამიტალახეს კარი წვიმებმა,
ვერსად ვერ ჰპოვეს თავშესაფარი,
ღიაა შენი წასვლიდან ღამე,
არც მიუხურავს ლოდინს ჭიშკარი.
რად მივეშველე ნეტავი მეც დროს,
შენი სახე რომ სულ წაეშალა,
ჩამოძენძილა ქარის ღრუბლებით
ისედაც წამისტოლა ქვეყანა,
კრავივით მორცხვი მზე აღებს
ცისკარს
და აღარც ახსოვს, რა იყო გუშინ.
სხივები ქსოვენ უახლეს დილას
და ხსოვნა რჩება სადღაც –
წარსულში,
უმყოობადო მიეთ-მოეთით
სავსეა სოფლის საჩვენო წამი,
რა ეშველება, ნეტავ ვიცოდე,
კართან ატუზულ ამ საწყალ ამინდს.
დაცინვით დასცქერს კენწერო
ფესვებს
და ცრემლებმდინარ ნაოჭებს
უთვლის
და ფეხმურთივით თამაშობს ვიღაც,
ჩემი პლანეტის ლამაზი ბურთით.

●

დედაჩემი მესიზმრა წუხელ
და –
რომ ენახა
რა ბედნიერს გამომეღვიძა –
აღარასდროს არ მოკვდებოდა.

●

ცაზე ფეხი დაუცურდა
მზეს,
გვირილებში გატრუნული წევს,
ვითომ მართლა ვეღარ იღებს წელს,
გაქრი, შენა! –
ესეც ლექსებს წერს!

ᲠᲘᲝᲜᲘ

ყოველ დილით
გადავხედავ რიონს –
გამარჯობა,
ფასის ვაჟო, რიო,
სულივით რომ
სულ თან დაგდევს სიო
და სიცოცხლედ
სწორედ იმას თვლიო,
რომ –
სხვასავით
სულ სხვისას არ შლიო,
რომ – ათასჯერ
არც კერავ, არც ჭრიო,
რომ – სიშმაგეს
სულ ბოლომდე ცლიო
და ზღვისკენაც
ისე იჩქარიო –
არასოდეს
გზას არ ეძებ იოლს,
გამარჯობა,
ფასის ვაჟო,
რიო,
გამარჯობა,
რიო!

●

ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡ ᲙᲐᲤᲘᲐ – ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲡ:
ქართველი მაინც არ იყო,
ჩვენი სისხლი და ხორცი,
მიიზლაზნები, თითქოსდა
საკუთარ ცოლსა ჰკოცნი!

ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘ – ᲐᲠᲐᲒᲕᲡ:
ეჰ, ნეტაი შენ, არაგვო,
ჭკუა რომ მეტი გქონოდა,
სად გეჩქარება, ნეტავი,
ამ ჩვენი საქართველოდან!

●

ჩემი მებადური ქმარი
წყალში ეძებს ოქროს თევზსა.
ჩემი სული – სიფრიფანა
ცაში ღრუბლებს ზევით ძევსა,
ხან გვირილით მირთავს დღეებს,
ხან ღამეებს უქრობს ფერსა,
ვიღაც დღეთა ბალახ-ბულახს
უდარდელად უქნევს ცელსა,
ვუკოცნი და ვერ ვუმშრალებ
ფხაზე აჭრილ ყანას ცრემლსა,
სული, სიზმრის სასთუმალქვეშ
მოლოდინის შუქში თვლემსა –
ჩემი მებადური ქმარი
წყალში ეძებს ოქროს თევზსა.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ

როგორც მამის მხრებს,
მიყრდნობილი ვარ კავკასიას!
თვალწინ ლივლივებს
მოხასხასე ალაზნის მოლი,
დგას ალავერდი
ყოფნასა და არყოფნას შორის,
და მის ტერფებთან
ჟამს მაცდური ხიბლი გასცლია...
როგორც მამის მხრებს,
მიყრდნობილი ვარ კავკასიას!
აპრილის ცაში
ჩუმი ჟრუნით წრიალებს ქორი,
წყაროს სარკეში ოქროს დალალს
აელვებს წნორი,
ირგვლივ ყოველი
პირველყოფის მადლით სავსეა –
როგორც მამის მხრებს,
მიყრდნობილი ვარ კავკასიას!

●

გული ჩიტივით
ნაღვლიანად შეიფრთხიალებს,
საწუთისოფლოს
სულ ამაო რია-რიაზე,
არც აღარავის ვახსენდები,
ისეთი დროა, –
წავალ,
მეგობრებს მოვიკითხავ,
საფიჩხიაზე!

●

საწყალო ჩემო საქართველოვ,
დედაჩემივით
როგორ თანდათან პატარავდები...

ვლადიმერ პუტინის პოლიტიკური გართობა

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, ქართველი ხალხის მიმართ პატივისცემის ნიშნად და საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, სანქციების შემოღებას მხარს არ უჭერს. ვლადიმერ პუტინის განცხადებით, სრულფასოვანი ურთიერთობების აღდგენამდე, არ გააკეთებს ისეთს არაფერს, რაც გაართულებდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს.

ამ გადაწყვეტილებამდე, რუსეთ-საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები 8 ივლისიდან ოფიციალურად შეწყდა. ფრენების შეწყვეტის შესახებ ბრძანება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 21 ივნისს გამოსცა. პუტინმა რუსეთის მთავრობას ასევე დაავალა, საქართველოში დროებით მყოფი რუსეთის მოქალაქეები ქვეყანაში დაებრუნებინათ და ტუროპერატორებს დაავალა, აკრძალვის პერიოდში არ გასცენ საგზურები რუსეთიდან საქართველოში.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **გენადი არველაძე** აცხადებს, რომ რუსეთის მიერ სანქციების დაწესებას საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა ექნება. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა ყოველთვის მუშაობს ბაზრის დივერსიფიკაციის კუთხით.

„გავლენა ეკონომიკაზე იქნება უარყოფითი, რადგან მოგეხსენებათ, რუსეთი ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. თუმცა ჩვენ ვმუშაობთ და ყოველთვის ვმუშაობდით, რომ საერთაშორისო ბაზრების გახსნის თვალსაზრისით, შეგვექმნა ყველა საფუძველი, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ჩვენს ძირითად პარტნიორებთან ღია ყოფილიყო. იმედს ვიტოვებთ, ეს ღიაობა შენარჩუნებული იქნება ჩვენი პარტნიორების მიერ, მათ შორის რუსეთის მხრიდან.

თუმცა ასევე მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენ არ ვართ არც ერთ ბაზარზე დამოკიდებული და ვვააჭრობთ როგორც რუსეთთან, ასევე სხვა სავაჭრო პარტნიორებთან, მათ შორის ევროკავშირის, აზიის სხვადასხვა ქვეყანასთან, ასევე აშშ-სთან, ასე რომ, დივერსიფიცირებული გვაქვს ბაზრები, თუმცა რუსეთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და მისი წილი მთლიან ექსპორტში 13 პროცენტს შეადგენს“, — განაცხადა გენადი არველაძემ.

ვლადიმერ პუტინის განცხადება, სადაც ის სანქციების გაუქმებაზე ქართველი ხალხის პატივისცემის გამო საუბრობს, ექსპერტის **მამუკა არეშიძის** განცხადებით, ერთგვარი პოლიტიკური მანევრია, რომლითაც მან გამწვავებულ სიტუაციაში ქართველი საზოგადოების გული მოიგო. მისი თქმით, კრემლში მშვენივრად იციან, რომ საქართველოში დაპირისპირებაა ორ პოლიტიკურ ბანაკს შორის და ისინი თავიანთ თამაშს თამაშობენ.

„მათ უნდათ, რომ თავიანთი კეთილგანწყობა დაანახონ ქართველ ხალხს, მაგრამ პოლიტიკურ შემადგენელს ისინი სხვანაირად მიხედავენ. სანქციების რეჟიმში ყოფნა საბოლოო ჯამში რუსეთისთვისაც არ არის მომგებიანი, მით უმეტეს აშშ-ის პარტნიორ ქვეყანასთან იმ თვალსაზრისით, რომ მათ გარკვეული მანევრისთვის ამერიკასთან ურთიერთობის კონტექსტში დიპლომატიური კორიდორის ღიად დატოვება სჭირდებათ. საჭირო იყო ეს პოლიტიკური მანევრი, რომ გაბრაზებულმა პუტინმა ბოლომდე არ გაწირა ქართველი ხალხი — დაახლოებით ასეთი გზავნილია“, — აცხადებს მამუკა არეშიძე.

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ დღეს რუსეთს სჭირდება ჰიბრიდული, ეკონომიკური ომი, რაც სახეზეა. მისი თქმით, რუსეთი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩაიძიროს ქართული ეკონომიკა.

„დიდი ეჭვი მაქვს, რომ არც გავრილოვის თავხედობა იყო შემთხვევითობა, მას მომზადებული დახვდა აქ პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი, სასწრაფოდ ჰქონდათ რეაქცია. ომი არ დაიწყება, ეს არ სჭირდება რუსეთს. ერთი ომი აქვს უკრაინასთან და ის ყოფნის მსოფლიოსთან საჭიდაოდ.

მას სჭირდება ჰიბრიდული ომი, ანუ ეკონომიკური ომი და მივიღეთ კიდეც ეს ომი. ტურისტები, გადმორიცხვების შემცირება, ღვინის ექსპორტი და ასე შემდეგ. მათი მიზანია, საქართველოს ეკონომიკა ჩამოიშალოს და ჩვენ ამ მიზანს ჩვენი ემოციურობით ხელს ვუწყობთ. რუსებმა მცირე პროვოცირება გაგვიკეთეს და მერე ხელები დაიკრიფეს, გვიყურებენ, როგორ მივდივართ იქით, საითაც მათ სურთ“, — ამბობს რამაზ საყვარელიძე.

ექსპერტი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში **თენგიზ ფხალაძე** მიიჩნევს, რომ რუსეთში აკვირდებიან მოვლენებს და არ იმეორებენ იმ შეცდომებს, რომელიც დაუშვეს 2006 წელს, როდესაც ისტერია იყო ქართველებთან მიმართებაში. მისი თქმით, რუსულ ბაზარზე ჩამოკიდება ყოველთვის არის დაკავშირებული რისკებთან, რაც დათვლილი უნდა იყოს.

„ეს არის მცდელობა, „კეთილი მეგობრის“ როლი ითამაშოს და ერთგვარი „რბილი ძალის“ გამოვლინებაა — მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გსჯით! ნებისმიერ შემთხვევაში, ეს მათი გადაწყვეტილებაა. საქართველოს რაც ნაკლები პრობლემა ექნება, მით უფრო კარგია. გარკვეული სანქციები უკვე ძალაშია და ჩვენ ვხედავთ, რაც ხდება ტურისტებთან და ავიამიმოსვლასთან დაკავშირებით. აქ საუბარია დამატებით სანქციებზე და რადგანაც ეს განცხადება გაკეთდა, ვლადიმერ პუტინის მხრიდან, დიდი ალბათობით, ეს აღსრულდება და მეორე ტალღა არ იქნება განხორციელებული.

მგონი, ეს ძალიან დასაფიქრებელი უნდა იყოს ჩვენთვის, ჩვენი ბიზნესისთვის. ზოგადად, ჩვენთვის, ყველასთვის, ერთ დღეში შეიძლება შეტრიალდეს სიტუაცია და შეიცვალოს. ამიტომ ძალიან ჩამოკიდება რუსულ ბაზარზე, ძალიან მიბმა ყოველთვის არის დაკავშირებული რისკებთან. ეს რისკები უნდა იყოს დათვლილი და შესაბამისად, ფიქრიც მანამდე უნდა დავიწყოთ, ვიდრე ურემი გადაბრუნდება“, — განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

თამთა ძარჩავა

ირანულმა კატარღებმა ბრიტანული ტანკერის დაკავება სცადეს

გარდიანის ინფორმაციით, სამმა ირანულმა საპატრულო კატარღამ სცადა ბრიტანული ნავთობის გადამზიდი ტანკერისთვის გზა გადაეჭრა ორმუზის სრუტეში. აღნიშნული ფაქტი მოხდა იმ დაძაბულობის ფონზე, რომელიც შეიქმნა 1 კვირის წინ, როდესაც გიბრალტარში სირიაში მიმავალი ირანული ტანკერი დააკავეს.

ინციდენტის განმავლობაში ბრიტანულ ნავთობის სატრანსპორტო ხომალდს ესკორტში მიყვებოდა სამხედრო ფრეგატი „მონტრო“, რომელმაც ირანული მცურავი აპარატებისკენ მიმართა ქვემეხები, ამის შემდეგ ირანულმა კატარღებმა ტერიტორია დატოვეს. „ჩვენ შეშფოთებას გამოვხატავთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და ვგმობთ ირანული მთავრობის მოქმედებას, რომლებიც ცდილობენ სიტუაციის ესკალაციას რეგიონში“, — **განაცხადეს ბრიტანეთის მთავრობაში.**

ბრიუსელში ნატოს ძველ შტაბ-ბინას გამოემშვიდობნენ

ამის შესახებ მიკრობლოგ „ტვიტერზე“ ნატოს პრესმდივნის მოადგილემ პიერ კაზალემ დაწერა. „დღეს ჩვენ ნატოს ძველ სახლს გამოვემშვიდობეთ. ძველ შენობაზე ნატოსა და მისი ყველა წევრის დროშები უკანასკნელად დავუშვით“, — **წერს პიერ კაზალე „ტვიტერზე“.**

დროშების დაშვების ცერემონიალზე ნატოს წევრი ქვეყნების სამხედროებმა მიიღეს მონაწილეობა.

რუსეთი საქართველოსთან ვიზების გაუქმებისთვის ემზადებოდა

9 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არ დაუჭირა მხარი სახელმწიფო სათათბიროს ინიციატივას საქართველოს წინააღმდეგ სანქციების შემოღების თაობაზე. გაზეთის წყაროების თქმით, მოსკოვი კმაყოფილია ოფიციალური თბილისის რეაქციით გიორგი გაბუნიას საქციელზე და შესაბამისად, კრემლი არ მიიჩნევს საჭიროდ საქართველოს ზედმეტად დასჯას ერთი სატელევიზიო კომენტარის გამო.

მეტიც, დადებითი დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არ გამორიცხავენ უკვე შემოღებული შეზღუდვების გაუქმებას, კერძოდ, ავიამიმოსვლის აღდგენას და რუსი ტურისტების საქართვლოში დაბრუნებას.

მეტიც, გაზეთის წყაროს ცნობით, არაა გამორიცხული რუსეთს და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხთან დაბრუნება. 9 ივლისი იყო ძალიან დაძაბული და დინამიური დღე საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობებში — ერთ დღეში მოხდა ურთიერთობების უკიდურესი გამწვავებაცა და განმუხტვაც.

რაღაც მომენტში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სიტუაცია სწრაფად უბრუნდება 2006 წლის მდგომარეობას, როდესად ქართული ექსპორტი რუსეთში დაიბლოკა და ქვეყნიდან დაიწყო საქართველოს მოქალაქეების მასობრივი დეპორტაცია.

თუმცა, ესკალაცია შეაჩერა თავად პუტინმა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა მოვლენების შემდგომი განვითარება. მან განაცხადა, რომ აპირებს საქართველოს მიმართ სანქციების შემოღებას და არ გააკეთებს ამას „ქართველი ხალხისადმი პატივისცემის გამო“.

იმის მიუხედავად, რომ ამ განცხადების შემდეგ პარლამენტის ოფიციალური პოზიცია არ შეცვლილა, ამ ეტაპზე სანქციების შემოღების ალბათობა თითქმის ნულოვანია. თბილისიდან გაჟღერებული განცხადებების და პუტინის პოზიციის დაფიქსირების შემდეგ, მოსკოვში არ გამორიცხავენ უკვე არსებული სატრანსპორტო და ტურისტული სანქციების გაუქმებას.

„თუ სიტუაცია საქართველოში ნორმალიზდება, რუსოფობია შეწყდება და იქნება ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოების მტკიცე გარანტიები, შესაძლებელი იქნება საუბარი ავიამიმოსვლის აღდგენაზე“...

მეტიც, არაა გამორიცხული, რომ მოსკოვი დაუბრუნდეს საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხსაც. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ ვიაჩელსავ ვოლოდინმა ჯერ კიდევ ივნისში, გავრილოვთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ, განაცხადა, რომ რუსეთს ჰქონდა ვიზების გაუქმების გეგმები, რომელიც სკანდალის გამო დაიბლოკა.

წყაროს ინფორმაციით, გადაწყვეტილება ვიზების გაუქმების თაობაზე მართლაც მიღებული იყო და რუსული მხარე ელოდებოდა პოზიტიურ მომენტს მისი ოფიციალურად მიღებისთვის. საქმის ბოლომდე მიყვანას ხელი შეუშალა გავრილოვის ირგვლივ დატრიალებულმა ისტორიამ.

თუმცა, გამოცემის ინფორმაციით, თუ სიტუაცია საქართველოში დასტაბილურდა, შესაძლებელი იქნება ამ საკითხისკენ დაბრუნება. საქართველოს და რუსეთს შორის ურთიერთობების დათბობა 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაიწყო. დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობა არანაირად არ უშლიდა ხელს სავაჭრო და ეკონომიკური კონტაქტების სწრაფ ზრდას.

„ქართული ოცნება“, დეკლარირებული ევროატლანტიკური მისწრაფებების მიუხედავად, აღმოჩნდა საკმაოდ კომფორტული პარტნიორი მოსკოვისთვის — პირველ რიგში, იმიტომ, რომ საქართველო უკვე არ არის რუსეთისთვის საგარეო პოლიტიკაში მუდმივი გამაღიზიანებელი ფაქტორი, შედეგად, რუსეთი გახდა საქართველოს ნომერ მეორე სავაჭრო პარტნიორი თურქეთის შემდეგ.

სკანდალების სერიას შეეძლო ბოლო წლების მიღწევების განულება — მიიჩნევს ქართველი ექსპერტი თორნიკე შარაშენიძე.

„ძალიან გამიკვირდა რუსეთის რეაქცია გავრილოვის საქმესთან დაკავშირებით. რუსეთი მხოლოდ მოიგებდა, რომ მოეხდინა მშვიდი რეაქცია, და ამით აჩვენებდა ყველას, რომ ის ამაზე მაღლა დგას. პუტინის ამჟამინდელი რეაქცია საკმაოდ რაციონალურია, არის შანსი ყველაფრის შემობრუნების“, — ამბობს ექსპერტი.

Коммерсант.ru

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ:

ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲜᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲮᲔᲓᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐᲗ!..

ᲨᲡ მინისტრი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ 20-21 ივნისის აქციაზე განვითრებულ მოვლენებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, თუმცა ამ ეტაპზე გადადგომას არ აპირებს. როგორც ექსპერტებთან შეხვედრაზე გახარიამ აღნიშნა, საკუთარი მოქმედებების სიმართლეში დაწმუნებულია და ამის დამტკიცებას საჯაროდ აპირებს.

ᲨᲡ მინისტრი პოლიტოლოგებს და ექსპერტებს შეხვდა. მინისტრთან შეხვედრაზე იმყოფებოდა ექსპერტი მამუკა არეშიძე, რომლის განცხადებით, გიორგი გახარია თანახმაა, გასაჯაროვდეს საქმის გარკვეული ნაწილი. For.Ge-სთან საუბრისას მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება.

—ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ, აპირებს გიორგი გახარია გადადგომას, რაც დღემდე რჩება ოპოზიციის მთავარ მოთხოვნად?

— მიუხედავად იმისა, რომ სხდომას ესწრებოდნენ ისეთი ექსპერტები, რომელის პოლიტიკური პოზიცია განსხვავებულია ჩემი პოზიციისგან და ალბათ, ხვდებით, რომელ პოლიტიკურ ძალასთან გრძნობენ კომფორტულად თავს, იმ ექსპერტებსაც კი არ დაუსვიათ ეს შეკითხვა გახარიასთვის. ღირდა, ალბათ, ამ შეკითხვის დასმა იმიტომ, რომ გახარია საუბრობდა თავის სამომავლო გეგმებზე, რომელიც დაკავშირებულია 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიებასთან.

20 ივნისის მოვლენების შემდეგ, მე ვთქვი, რომ მის ადგილას გადავდგებოდი, მაგრამ მას მერე ჩემი პოზიცია შეიცვალა და გეტყვით რატომ. როდესაც გახარიამ სრულად თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, ჩავთვალე, რომ ამ ადამიანის ვალდებულებაა, ყველაფერი მიიყვანოს ბოლომდე და საზოგადოებას ამცნოს, რა მოხდა რეალობაში 20-21 ივნისს და მხოლოდ ამის მერე უნდა გადადგეს ან დარჩეს.

— თუმცა ძალაშია მოთხოვნა მისი გადადგომის შესახებ...

— ჩემთვის დღევანდელი აქციის მონაწილეების ფრაზა — გადადექი, არის კაპრიზი. მათ პოზიციას მუდმივად ამაგრებს „ნაციონალური მოძრაობის“ მითითება თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნააზრევი. ძალიან კარგად მახსოვს, ჯერ კიდევ აქციის დაწყებამდე როგორ დასდევდა სალომე სამადაშვილი პარლამენტის დერეფნებში გახარიას და ეძახდა, უნდა გადადგეო. ეს მაშინ, როდესაც ჯერ აქციის დაშლა არ იყო დაწყებული. ვფიქრობ, რომ ამ ადამიანმა, რომელმაც ამხელა პასუხისმგებლობა აიღო, კეთილი უნდა ინებოს და საზოგადოებას წარუდგინოს ფაქტები იმის შესახებ, რა მოხდა 20-21 ივნისს.

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთხელ მინახავს მრავალი სკანდალური საქმე, რომელთაც სამართლებრივი შეფასება სჭირდებოდა, მაგრამ იმიტომ, რომ კოლექტიური პასუხისმგებელი და მზრუნველი ჰყავდა, საქმე ჩაიფარცხა. საბოლოო ჯამში, თავს და ბოლოს ვერ გაიგებდი. ამ შემთხვევაში არის კონკრეტული პასუხისმგებელი პირი და მან აგოს ბოლომდე პასუხი.

— გიორგი გახარიასთან შეხვედრაზე თუ იყო წარმოდგენილი დოკუმენტური და ვიდეო სახის მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება, რომ რეალურად მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება? ამ ეჭვს ამყარებს ისიც, რომ 20 ივნისს პარლამენტში საშვების დაშვების რაოდენობამ პიკს მიაღწია...

— მინისტრთან შეხვედრაზე შევთანხმდით გარკვეულ კონფიდენციალურობაზე, ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე ისაუბრა მინისტრმა. შემიძლია გითხრათ, რომ ვიდეოკადრები ჩვენ არ გვინახავს, მაგრამ გვითხრეს, რომ ასეთი ვიდეოკადრები არსებობს და რამდენიმე აღგვიწერეს კიდევაც შინაარსის თვალსაზრისით. რაც შეეხება საშვების დაშვებას და რაოდენობას, ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მივიღეთ, მათ შორის დროზე, ვინ როდის შემოდიოდა, როგორი მობილიზაცია გამოცხადდა იმ წუთებში ოპოზიციური ძალების მიერ. სხვათა შორის, ბევრი სხვა საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ, რომლის გახმოვანება კონფიდენციალურობიდან გამომდინარე შეუძლებელია. ჩვენს მიერ სამართლებრივი ან პოლიტიკური შეფასება რომ მაინც ყოფილიყო განსაზღვრული, კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, უტყუარი დოკუმენტური ფაქტები არ წამოუდგენია.

— მიუხედავად კონფიდენციალურობისა, გახარიასთან შეხვედრაზე გაგიჩნდათ განცდა, რომ რეალურად საქმე გვქონდა სახელმწიფო გადატრიალებასთან?

— რად მინდოდა მაგისთვის გიორგი გახარიასთან შეხვედრა? ჩვენ ხომ პრეცედენტებით ვაზროვნებთ? ამის პრეცედენტები იყო ჩვენს სახელმწიფოში, დაახლოებით ამავე შინაარსით და ფორმით. ერთ-ერთში მეც



ვიღებდი მონაწილეობას, 1991 წელს ოპოზიციის მხარეს ვიდექი. სამწუხაროდ, ჩვენ გადავდგით დაუფიქრებელი ნაბიჯი, მაგრამ მოვახერხეთ მაშინ ხელისუფლების დამხობა. მაშინდელი ბევრი ჩემი საქციელი საკუთარი თავისთვისთვის დღემდე არ მიპატიებია.

რად მინდოდა ამისთვის გახარიასთან შეხვედრა, მე ხომ ვხედავდი, რომ ხელწერა იყო იგივე, რაც იმ წლებში — 2003 წელს. აბსოლუტურად იგივე ხდებოდა 2003 წელს პარლამენტში შეჭრა — იგივე ხდებოდა ახლაც. გაზაფხულის დაწყებიდან ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მუდმივად სკანდალის რეჟიმში გვეცხოვრა, პანკისის ხეობიდან დაწყებული, მუდმივი მტკიცება იმისა, რომ ხელისუფლება არის სუსტი, ხელისუფლება არის დამნაშავე და ა.შ. პარლამენტში შესვლის მიზანი იყო, ეჩვენებინათ საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომ ხელისუფლება იმდენად სუსტია, ჩვენ პარლამენტში შევედით. გეგმა იყო — შესულიყვნენ და პარლამენტის სკამები დაეკავებინათ. იმის შნო, იმის თავხედობა, რაც მიშამ გააკეთა, ამათ არა აქვთ.

— შეხვედრაზე თუ იყო საუბარი გოგონაზე, რომელმაც მხედველობა დაკარგა და რომელიც ოპოზიციის ერთ-ერთი კოზირია გახარიას წინააღმდეგ?

— იყო ამის თაობაზე საუბარი, მაგრამ ზუსტადაც რომ, კონფიდენციალურ თემას განეკუთვნება, მე არ მაქვს უფლება, მოვყვე, იქ რა ხდებოდა რეალურად.

— თუ მიიღეთ დაპირება გახარიასგან, რომ საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი და ყველა, ვინც ჩართული იყო ამ გადატრიალებაში, დაისჯება, არა აქვს მნიშვნელობა დეპუტატი იქნება, პოლიტიკური პარტიის წევრი, თუ რიგითი მოქალაქე?

— მივიღეთ ამის დაპირება და სხვათა შორის მივიღეთ ინფორმაცია, რა ტიპის გადაცდომები ჰქონდა პოლიციას. დეტალურად იყო ამაზე საუბარი. მაგრამ ჩვენ კრიტიკულ პოზიციაზე დავდექით. ჩვენ არ მოგვწონს ტემპი და კატეგორიულად მოვითხოვეთ, რომ დროზე მიიყვანონ ეს საქმე ბოლომდე, რომ საზოგადოების წინაშე წარსდგნენ ფაქტებით, რა ხდებოდა. შეიძლება, ეს არ იყოს დასრულებული სახით, მაგრამ ის სეგმენტი გამოძიებისა, რომელიც დასრულებისკენ მიდის, ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდეს საზოგადოებას. მით უმეტეს, რომ აქ არ არის ინტერესთა კონფლიქტი. პროკურატურა იძიებს პოლიციელების საქმეს და ამ ეტაპზე, რისი დემონსტრირებაც შეიძლება, იმის თქმა საჭიროა საზოგადოებისთვის. ამაზე დაგვეთანხმა მინისტრი.

რაც შეეხება რეზინის ტყვიების გამოყენების აუცილებლობას, წარმოგვიდგინეს მასალები იმის თაობაზე, როგორ ხდებოდა მისი გამოყენება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. დოკუმენტური საბუთები წარმოგვიდგინეს იმის თაობაზე, რომ ეს ტყვია არ არის ლეტალური. აღგვიწერეს ამ ტყვიის მოქმედება, აგვიხსნეს რატომ ჰქონდა ზოგიერთ დაზარალებულს ზურგი ბევრ ადგილას დაზიანებული. როგორც გვითხრეს, საფანტის პრინციპით მუშაობს ზოგიერთი ტყვია.

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲫᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲡ!

ᲛᲐᲡ შემდეგ, რაც „ერთიანი ნაც. მოძრაობა“ უსინდისოდ იყენებს მართლაც ტრაგიკულ შემთხვევას (20 ივნისის ღამეს ორმა ახალგაზრდამ თვალი დაკარგა პოლიციელის მიერ ნასროლი ტყვიით) თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის და „გონივრულად“ ავიწყდება დაჭრილ-დაშავებული პოლიციელები — მსურს, საზოგადოებას შევახსენო თუნდაც ერთადერთი მაგალითი მათი ბოროტებისა, თუ როგორ იქნა ნაწამები საზიზღარ ფორმებში და შემდეგ მოკლული ოფიცერი სერგო თეთრაძე.

ჩვენ თვალწინ პირდაპირ იკვეთება, თუ რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ ამ ბოროტი ძალის წინააღმდეგ. მაგრამ, ჯერ მცირეოდენი გააზრება სახელმწიფო მტრის შესახებ, რომელსაც იძლევა თავის წიგნში **„პოლიტიკურის ცნება“** (1925) დიდი გერმანელი მოაზროვნე და სამართალმცოდნე **კარლ შმიტი.**

მეგობრებად და მტრებად დაყოფა, ამბობს კ. შმიტი, ის ზღვარია, საიდანაც იწყება „პოლიტიკურის“ სფერო. პოლიტიკაში მხედველობაში აქვთ საზოგადო მტერი, მთელი ხალხის მტერი. ასეთი მტერი უარყოფს თავად ყოფიერების იმ წესრიგს, რომელიც ჩამოყალიბდა მოცემულ საზოგადოებაში. დამოკიდებულება იძაბება და აღმოცენდება ფიზიკური მოსპობის საშიშროება. ამგვარად, ასეთი მტრის „პოლიტიკური“ მიზანსწრაფვა ემორჩილება თავის კანონებს, რომლებიც ხშირად სცილდება ეთიკურ ნორმებსა და ეკონომიკურ მიზანშეწონილობას. მხოლოდ სახელმწიფოს ხელისუფლებას აქვს უფლება, ასეთ შემთხვევებში მიიღოს გადაწყვეტილება. სერიოზული შემთხვევები, — განაგრძობს შმიტი, — ითხოვს დაუყოვნებლივ ავტორიტეტულ გადაწყვეტას, რომლის უფლება განპირობებულია ხელისუფლების სუვერენიტეტით.

აქ, როგორც იტყიან, ყველაფერია ნათქვამი. **საჭიროა მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების ვაჟკაცური შემართება და მკაცრი გადაწყვეტილების მიღება.**

მაგრამ, არის ერთი საკითხი, რომელსაც არ შემიძლია, არ შევეხო. მთელ ამ „ნაცმოძრაობას“ საფუძვლად ათეიზმი უდევს. განმარტებისთვის ისევ კარლ შმიტს მივმართავ (გლოსარიუმი. ჩანაწერები 1947-1951 წლების). აქ იგი წერს: **„ინდიფერენტული ნეიტრალურები აღელდებიან ხოლმე ათეიზმზე და ნიჰილიზმზე და ვერ ამჩნევენ, რომ იაკობ ბურკჰარდტის (მათგან ძალზე მოწონებულ და ხშირად ციტირებულ) გამოთქმაში უსასრულოდ მეტი ათეიზმი და ნიჰილიზმია შესული, ვიდრე ბაკუნინის მთელ ქმნილებებში. ვგულისხმობ გამოთქმას: „ძალაუფლება თავისთავად ბოროტია“. ვინ იცის დღეს, რომ ეს წინადადება იმასვე ნიშნავს, რასაც: ღმერთი მკვდარია“.**

რაც შეეხება კ. შმიტის მიერ **ბაკუნინის** დასახელებას, მკითხველს შევახსენებ, რომ ამ ცნობილ ანარქისტს და მეამბოხეს ეკუთვნის ფრაზა: **„ვოლტერმა თქვა — ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონა. მე კი ვამბობ: რომ ყოფილიყო ღმერთი, იგი აუცილებლად უნდა გაგვენადგურებინა“ (იხ. ბაკუნინის წიგნი „ღმერთი და სახელმწიფო“).**

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

◎ ჩემპიონთა ლიგა

„საბურთალოს“ პირველად მოსვლა

მეამაყება, საბურთალოელი რომ ვარო, — მითხრა გუშინ დილით ეზოში გამოსულს ერთმა უბნელმა კოლორიტმა.

არც მიკითხავს რატომ მეთქი, ყველაფერი ისედაც ნათელი იყო.

დიახ, „საბურთალომ“ არა მარტო დედაქალაქს, არამედ სრულიად საქართველოს მოსწმინდა ნამუსი და მთელ საფეხბურთო სამყაროს შეახსენა, რომ მარტო საამაყო ტრადიციებით არ ვსაზრდოობთ.

ჩემპიონთა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩი
„შერიფი“ (ტირასპოლი, მოლდოვა) — „საბურთალო“ (თბილისი, საქართველო)
0:3 (0:1)

„შერიფი“: მიკულიჩი, პალჩიჩი (ტამბე), პოსმაკი, იახი, კრიშტიანუ, ხოსე ანხელი (ანტონი), გორდიენკო, ლატიფი, კენდიში, პალიჩი (ბალინი), ბობანი.

მწვრთნელი: ზორან ზეკიჩი.

„საბურთალო“: მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ლაკვეხელიანი, გორგიაშვილი (კაკუბავა), ალთუნაშვილი, ვაგნერი (შინდაგორიძე), დიასამიძე, კოხრეიძე (გაბედავა), როლოვიჩი.

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი.

მსაჯი: ა. გრიფიტი (უელსი).

გოლები: როლოვიჩი, კოხრეიძე, კაკუბავა.

გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, რომ გიორგი ჭიაბრიშვილის გაწვრთნილი გუნდის ევროდებიუტს შიშნარევი ინტერესით ველოდით, რასაც ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა. უპირველესად, ვითვალისწინებდით მეტოქის მიერ საერთაშორისო სარბიელზე სისტემატური გამოსვლებით დაგროვებულ გამოცდილებასა და მის შემადგენლობაში კვალიფიციურ ლეგიონერთა სიჭარბეს. საბედნიეროდ, მათი უმეტესობა მოლდოვური კლუბის ახალწვეულია და ჯერ შეთამაშება ვერ მოასწრო.

და მეორე, უმთავრესი ფაქტორი: თბილისელებმა ძალიან იოლად გაანიავეს კონკურენტებთან მოპოვებული სოლიდური უპირატესობა და ეროვნული ლიგის სატურნირო ცხრილში ლიდერობა დათმეს, რაც გვაფიქრებინებდა, რომ ჩვეული კონდიციები დაკარგეს. თურმე, ვცდებოდით.

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მასპინძელთა მმართველ სტრუქტურაში ჩვენს თანამემამულეთა — ვაჟა თარხნიშვილისა და შოთა მახარაძის სახით მოწინააღმდეგეს ერთგვარი ინფორმატორები ჰყავდა, მაგრამ სტუმრებმა ისეთი ტაქტიკური განსწავლულობა და ინდივიდუალური ოსტატობა გამოამჟღავნეს, რომ მათი თამაშის გაშიფვრა გაცილებით წონად ოპონენტს გაუჭირდებოდა.

მოკლედ, მადლობა ბიჭებს დაუვიწყარი სპექტაკლისა და ქართული ფეხბურთის შელახული პრესტიჟის აღდგენისთვის.

საპასუხო რაუნდი „მიხეილ მესხზე“ 16 ივლისს 21 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

ბითაძე 88-ნომრიანი მაისურით ითამაშებს

„ინდიანა პეისერზიდან“ ძველებური ამბები მოდის: გუნდში კვალავაც ვერ ირჯება სავიზო პრობლემებით გაწამებული გოგა ბითაძე, ინდიანელები კი NBA-ს საზაფხულო ლიგაზე მატჩებს უიმედოდ აგებენ.

„პეისერზი“ ამჯერად „ატლანტა ჰოუქსს“ გაეჯიბრა და 67:87 წააგო. გოგას გუნდმა ყოჩაღად დაიწყო და პირველი მეოთხედი 20:15 მოიგო, შემდეგ კი საქმე უკან წაუვიდა და თამაშის გადარჩენის შანსი აღარ ჰქონია.

ინდიანელთა მხრიდან 10 და მეტი ქულა სამმა კალათბურთელმა მიითვალა. საუკეთესო ალიზ ჯონსონი იყო 18 ქულით, დევონ აკორონ-პერსელმა 16 ქულა მიითვალა, შიზ ალსტონმა კი — 10.

ამასთანავე, საბოლოოდ დადგინდა ის ნომერი, რომლითაც ქართველი ცენტრი ნბა-ში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ გოგას თავდაპირველად 19-ნომრიანი მაისური გადასცეს, საზაფხულო ლიგაში ის 18 ნომრით შეიყვანეს, ახლა კი ირკვევა, რომ ჩვენებური 88-ე ნომერს მიიღებს.

როგორც ცნობილი ხდება, აქამდე ამგვარი მაისურით ლიგაში მხოლოდ ხუთ კალათბურთელს უთამაშია. ესენი ნიკოლა ბატუმი, ნემანია ბიელიცა, კრისტიან ეიენგა, ალექსეი შვედი და ანტუან უოკერი არიან.

დასასრულ ისიც ვთქვათ, რომ „პეისერზი“ ლას-ვეგასში მიმდინარე საზაფხულო ლიგაში დასკვნით შეხვედრას დღეს ჩაატარებს, მეტოქედ კი ნბა-ს მოქმედი ჩემპიონი „ტორონტო რეპტორზი“ ეყოლება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ნაგოიას ბაშო

ტოჩინოშინი, სავარაუდოდ, ტურნირიდან მოიხსნება

ქართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ, იგივე ტოჩინოშინმა, იაპონიის ქალაქ ნაგოიაში მიმდინარე საზაფხულო სუპერტურნირზე ზედიზედ მე-5 მარცხი განიცადა და, დიდი ალბათობით, შეჯიბრს ნაადრევად დაემშვიდობება.

ტოჩინოშინი ნაგოიას ბაშოს დასავლეთის მე-2 ოძეკის წოდებით შეხვდა, თუმცა, მუხლის ტრავმის გამო დოჰიოზე სრული დატვირთვით ვერ ირჯება და ეს მის შედეგებზეც აისახება.

გუშინ ქართველი სეკიტორი აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირა ასანოიამასთან იორიკირით დამარცხდა და ვინაიდან დადებითი ბალანსის (კაჩი-კოში) დაფიქსირებისთვის ბრძოლა უპერსპექტივოდ მოსჩანს, სავარაუდოდ, ბაშოდან მოიხსნება და მის დღევანდელ მეტოქეს, აღმოსავლეთის პირველ კომუსუბი აბის ავტომატური გამარჯვება ჩაეთვლება.

ელიტურ მაკუუჩი დივიზიონში მაქსიმალური შედეგით 4 სუმოისტი ლიდერობს: იოკოძუნები ჰაკუჰო და კაკურიუ და რიგითი მაეგაშირები ტომოკაძე და ტერუცუოში.

ცუდად მისდის საქმეები გაგამარუს შიკონათი ცნობილ თეიმურაზ ჯუღელსაც, რომელიც რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში დასავლეთის მე-2 ნომრის წოდებით ირჯება.

ქართველმა გოლიათმა ერთადერთი მოგების წილ მე-4 მარცხი (იორიკირით) დასავლეთის მე-4 რეიტინგოსან ტაკანოშოსთან განიცადა. ნაგოიას ბაშოს მე-6 დღეს გაგამარუს პირისპირ აღმოსავლეთის მე-3 ნომერი ჩიიოშომა დადგება, რომელთან ურთიერთშეხვედრებშიც ჩვენებური 1:2 მარცხდება.

კობა კობახიძე



◎ ელიტა

ფედერერი და უილიამსი

ლოს-ანჯელესში პრესტიჟული პრემიის ESPY (Ücellence in Sports Performance Yearly Award) დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ამ პრემიას ამერიკული სპორტული ტელეარხი ESPN აწესებს.



საუკეთესო კაც ჩოგბურთლად შვეიცარიელი როჯერ ფედერერი დაასახელეს, რომელმაც ამ დღეებში უიმბლდონზე სარეკორდო მე-100 მატჩი მოიგო. მისი კონკურენტები იყვნენ სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი, ესპანელი რაფაელ ნადალი და ბერძენი სტეფანოს ციციპასი.

ქალთა შორის საუკეთესო ამერიკელი სერენა უილიამსი გახდა. მან რუმინელ სიმონა ჰალეპს, იაპონელ ნაომი ოსაკას და ჩეხ პეტრა კვიტოვას აჯობა.

2018 წლის აშშ-ის ღია პირველობაზე სერენას ოსაკასთან ფინალში წაგება წლის სენსაციის ნომინაციაში გამარჯვების კანდიდატი იყო, თუმცა, საბოლოოდ ასეთად მძიმეწონოსანთა კრივში ენდი რუისის ენტონი ჯოშუაზე გამარჯვება დაასახელეს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ძიუდო

რჩეულთა რვეული

12-14 ივლისს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი ტრადიციულ გრან პრის უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობას 85 ქვეყნის 625 ძიუდოისტი (382 კაცი და 243 ქალი) მიიღებს.

ტურნირში 8 ქართველი ძიუდოისტიც ჩაებმება: ჯაბა პაპინაშვილი, თემურ ნოზაძე (60 კგ.), ტატო გრიგალაშვილი (81 კგ.), ბექა ღვინიაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი (90 კგ.), გიორგი ბერიაშვილი (100 კგ.), გელა ზაალიშვილი, ონისე ბუღაძე (+100 კგ.).

გეჟან დოლიძე

აღმოჩენილია ღვთისმშობლის მიძინების სცენის ფრაგმენტი

აწყურის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის მიმდინარეობისას მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კანკელის ფრაგმენტი გამოვლინდა.

წინასწარი სამეცნიერო შეფასების მიხედვით, ღვთისმშობლის მიძინების სცენის ამსახველი ფრაგმენტი განვითარებული შუასაუკუნეების ხანისაა და ამ დრომდე შემორჩენილი არქიტექტურული ნაგებობის თანადროულია.

ამავე დასკვნის მიხედვით, ახლადგამოვლენილი კანკელი მე-11 საუკუნისაა. იგი თეძამის ტუფშია ნაკვეთი და ძალიან ჰგავს ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი კანკელების სტილისტურ ჯგუფს, რომელიც სვეტიცხოვლის, ალავერდის, შიო-მღვიმის, სამთავროსა და საფარას მონასტრების კანკელებითაა წარმოდგენილი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კვლევის სამსახურის თანამშრომლები ახლადგამოვლენილ ფრაგმენტს უახლოეს დღეებში ადგილზე შეისწავლიან. სავარაუდოდ, სწორედ ახლადგამოვლენილი ობიექტის ნიმუში დაედება საფუძვლად აწყურის საკათედრო ტაძრის ახალი კანკელის დამზადების პროცესს.

პარალელურად, ფონდი „ქართუს“ ფინანსირების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს საკათედრო ტაძრის სარეაბილიტაციო პროექტში კორექტირებას, რაც ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტრადიციული ქვის ლორფინით გადახურვას ითვალისწინებს.

საპროექტო ცვლილების გამო აწყურის ტაძრის რეაბილიტაციის ვადა 2 წლით გადაიწევს და ის 2024 წელს დასრულდება.

აწყურის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რესტავრაცია ფონდი „ქართუ“-ს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლობით 2016 წელს დაიწყო. ფონდი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 12,5 მილიონ ლარზე მეტს გაიღებს. აღდგენილ ტაძარზე ქვის უძველესი არქიტექტურული დეტალები მაქსიმალურად შენარჩუნდება.

დიდ დიღომში საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები მიმდინარეობს

დიდი დიღმის კერძო დასახლებაში სტრაბონის და ნიკო ბურის ქუჩების მოწესრიგება მიმდინარეობს.

სამუშაოების ფარგლებში, სტრაბონის ქუჩაზე 9121 კვადრატული მეტრი ფართობის მოწესრიგება სრულდება. ამ ეტაპზე ასფალტის მეორე ფენის დაგება მიმდინარეობს.

ნიკო ბურის ქუჩაზე უკვე მოეწყო სანიაღვრე ქსელი და ამჟამად გრუნტის მოხსნის სამუშაოები მიმდინარეობს. აღნიშნულ ქუჩაზე 3767 კვადრატულ მეტრ ფართობზე ასფალტის ახალი ორფენიანი საფარი დაიგება.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გამგეობის დაკვეთით, კომპანია „იბერი“ ასრულებს, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან 1 462 546 ლარი გამოიყო.

ბათუმში ელექტრო თვითგორიალები უკვე ხელმისაწვდომია

ბათუმში გადაადგილების თანამედროვე საშუალება — ელექტრო თვითგორიალები გამოჩნდნენ. ელექტრო თვითგორიალას გაზიარების სერვისი Mycab.ge ქართველი დეველოპერების მიერ შემუშავებული სტარტაპ-პროექტია.

ევროპული და ამერიკული გამოცდილებით შექმნილი ქართული პროდუქტით Mycab.ge-ით სარგებლობა საქართველოში პირველად სწორედ ზღვისპირა ქალაქში გახდა შესაძლებელი. იგი ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს ისეთ ცნობად, საქმიან და ტურისტულ ქალაქებში, როგორებიცაა პარიზი, ბრიუსელი, მადრიდი, ბერლინი და სხვა.

ელექტრო თვითგორიალები განთავსებულია ბათუმის რამდენიმე კერძო ტურისტულ ობიექტთან. მსურველებმა უნდა ისარგებლონ სპეციალურად შექმნილი აპლიკაციით Mycab.ge, რომელიც მაქსიმალურადაა მორგებული როგორც ქართველ, ისე უცხოელ მომხმარებელზე.

ელექტრო თვითგორიალა MyCab განკუთვნილია 14 წლიდან ზევით ყველა ასაკის ტურისტებისთვის.

საქართველოში ამინდი გაუარესდება

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, 12-13 ივლისს საქართველოში მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ზოგან ძლიერი, შესაძლებელია სეტყვა, ქარის გაძლიერება, ზღვაზე 2-3-ბალიანი ღელვა.

მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია, საქართველოს პატარა მდინარეებზე, წყალმოვარდნები, ხოლო ქვეყნის მთიან ზონებში მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს.

სულთათანა

შვილები ქეთევან (ია) ნაცვლიშვილი-შილაკაძისა, გიორგი (გია) ხეჩინაშვილი, სიძე თამაზ შილაკაძე, შვილიშვილები ნინო, გიორგი შილაკაძეები, შვილთაშვილები თამაზ (თაზო), რეზო, ნიკოლოზი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი, დიდი ოჯახის დედა და ბებია

თინა ლოლუა

პანაშვიდი: 12,13 VII, 17 სთ; გამოსვენება: 14 VII, 14 სთ;

მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი №28, IV სად. VI სართ.

ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თამაზ შილაკაძეს სიდედრის

თინა ლოლუას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კულტურის ფონდის თანამშრომლები უსამძიმრებენ ბატონ თამაზ შილაკაძეს სიდედრის

თინა ლოლუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სულით და ხორცით ლამაზი ქალბატონი, დამსახურებული ქართველი (კოლხი) მანდილოსანი

თინა ლოლუა

და თანაუგრძნობს განსვენებულის სიძეს, ბატონ თამაზ შილაკაძეს.

გრიგოლ შონია და ჯუმბერ დავითულიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბავშვობის მეგობარი, ღვთისნიერი კაცი

შაქრო შონია

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

მაშველებმა გოგონა თვითმკვლელობას გადაარჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შემოვიდა შეტყობინება, რომ ქუთაისში, საღორიის ტყეში ახალგაზრდა გოგოს ვერ პოულობდნენ, რომელსაც, სავარაუდოდ, ჰქონდა სუიციდის მცდელობა.

შეტყობინების მიღებისთანავე, ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა ჯგუფები. სუიციდის მცდელობის ფაქტი დადასტურდა — ტყეში ახალგაზრდა გოგონას ჰქონდა თავის ჩამოხრჩობის მცდელობა.

მეხანძრე-მაშველების სწრაფი რეაგირების შედეგად მოხერხდა სუიციდის მცდელობის დროულად აღკვეთა და გოგონას გადარჩენა. იგი უგონო მდგომარეობაში მყოფი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. გოგონას შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა, ახლა თავს კარგად გრძნობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აფხაზეთში საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვან შვილთან ერთად დააკავეს

ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ. საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქე, 1983 წელს დაბადებული ბეგლარ წილოსანი არასრულწლოვან შვილთან ერთად დააკავეს.

აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, დაკავება ახალ ათონში მოხდა. მათივე განცხადებით, მამაკაცმა არასრულწლოვან, 2015 წელს დაბადებულ ქალიშვილთან ერთად, ე.წ. საზღვარი გალის რაიონის სოფელ საბერიოსთან გადაკვეთა.

„გოგონას ასაკისა და ჟენევის დისკუსიის ფორმატის გათვალისწინებით, გოგონა ევროკავშირის სამშვიდობო მისიის თანდასწრებით, ენგურის ხიდზე დედას თამარ გოგსაძეს გადასცეს. დაკავებული მამაკაცი კი გალის იზოლატორში მოათავსეს“, — აცხადებენ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. უსაფრთხოების სამსახურში.

ამჟამად, ბეგლარ წილოსანის უკანონო პატიმრობიდან გასათავისუფლებლად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

არასრულწლოვნის დედა ბავშვის დაკარგვის შესახებ სოციალური ქსელშიც წერდა.

ყურადღება!

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი აგრძელებს წევრობის დამადასტურებელი მოწმობების განახლებას.

გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: 593-40-10-66.

„ფოლკსვაგენის“ ლეგენდარული „ხოჭო“

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავტომწარმოებლის, გერმანული კონცერნის ლეგენდარული „ხოჭო“ წარსულს ჩაბარდა.

ავტომწარმოებელი „ხოჭოს“ წარმოებას მექსიკაში, პუებლაში მდებარე ქარხნიდან ბოლო მანქანის გამოშვების შემდეგ შეწყვეტს.

„ძნელია იმის წარმოდგენა თუ როგორი იქნებოდა „ფოლკსვაგენი“ „ხოჭოს“ გარეშე“, — თქვა ავტოკონცერნის აღმასრულებელმა დირექტორმა სტივ კეიგმა.

საინტერესოა ის, რომ „ფოლკსვაგენის“ დაბადების ისტორია გერმანიის დიქტატორს, ადოლფ ჰიტლერს უკავშირდება.

ადოლფ ჰიტლერის უშუალო დავალებით, 1937 წლის 28 მაისს გერმანელ მუშათა ფრონტმა ბერლინში დააარსა ფირმა, რომელსაც 1938 წლის 16 სექტემბერს „ფოლკსვაგენი“ ეწოდა.

1939 წელს ქარხანა უკვე მზად იყო მასიური წარმოების განსახორციელებლად, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო, სამხედრო დაკვეთების შესრულება მოუწია. მხოლოდ 1946 წელს გამოუშვეს პირველი „ხოჭო“ (გერმ. Kefer — „ხოჭო“).

1980 წელს გერმანიაში „ხოჭოს“ გამოშვება დასრულდა, მაგრამ მექსიკის ქარხანაში მისი წარმოება კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი ცნობილი ადამიანები

გამოცემა Forbes-მა 2019 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ცნობილი ადამიანები დაასახელა. რეიტინგს ამერიკელი მომღერალი ტეილორ სვიფტი ლიდერობს.

მომღერალმა 2018 წლის ივნისიდან 2019 წლის ივნისის ჩათვლით 185 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

რეიტინგში ტეილორ სვიფტს 21 წლის ამერიკელი მოდელი კაილი ჯენერი მოსდევს. მან იმავე პერიოდში 170 მლნ დოლარი გამოიმუშავა.

მესამე ადგილზე ამერიკელი რეპერი კანიე უესტია 150 მლნ დოლარით.

ყველაზე მაღალანაზღაურებადი ცნობილი ადამიანების ათეულში შედიან:

ლიონელ მესი — 127 მლნ დოლარი; ედ შირანი — 110 მლნ დოლარი; კრიშტიანუ რონალდუ — 109 მლნ დოლარი; ნეიმარი — 105 მლნ დოლარი; ჯგუფი The Eagles — 100 მლნ დოლარი; ტელეწამყვანი ფილიპ მაკგროუ — 95 მლნ დოლარი; მოკრივე საილ ალვარესი — 94 მლნ.

გადი აქედან, ყაჩაღო!..

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბორისპოლში ქალაქის საბჭოს მდივანი იაროსლავ გოდუნოკი ოფიციალური შეხვედრიდან გააძევა, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ის ნასამართლევია.

„როდესაც ადამიანი ბევრს ყვირის, ყოველთვის ვეძებ ინტერნეტში ცნობებს მის შესახებ. წავიკითხე, რომ პარტია „ბატკივშინას“ წევრი, ბორისპოლის ქალაქის საბჭოს მდივანი ნასამართლევია ყაჩაღობისა და სხეულის განზრახ დაზიანებისთვის, ეს თქვენ ხართ?“ — ჰკითხა ზელენსკიმ გოდუნოკს და როდესაც დადებით პასუხი მიიღო, სხდომის დატოვება მოსთხოვა.

„გადით აქედან, გადი აქედან, ყაჩაღო. არ გესმის ჩემი? გეკითხებით ეს თქვენ ხართ? — მიმართა ზელენსკიმ მას, როდესაც გოდუნოკმა პასუხის გაცემა დააპირა, ზელენსკიმ დაამატა: „წადი, გაიარე, ღმერთო, ჩემო“.

გოდუნოკი დარბაზიდან გაიყვანეს, ზელენსკიმ კი სხდომის მონაწილეებს ბოდიში მოუხადა.

თმა და გული



მამაკაცის თავის თხემზე სიმელოტე, შესაძლოა, გულის იშემიური დაავადების ნიშანი იყოს.

კარდიოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მელოტი მამაკაცები გულის იშემიურ დაავადებას ქოჩრიანებზე უფრო ხშირად უჩივიან. განსაკუთრებით საშიშია, როცა სიქაჩლე სიყმაწვილეში იწყება. 60 წლამდე თმების ცვენის დროს, გულთან დაკავშირებული საფრთხეების წარმოშობის რისკი 45-50 პროცენტით იზრდება.

სახიფათო ასაკი



მამაკაცებისთვის ყველაზე სახიფათო ასაკი 40 წელი ყოფილა.

მეცნიერებმა 15-დან 49 წლამდე ასაკის პაციენტთა სამედიცინო მონაცემები გააანალიზეს და დაადგინეს, რომ გულსისხლძარღვთა მუშაობაში შეფერხებები ყველაზე ხშირად 40 წლის მამაკაცებს აღენიშნებათ.

ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფში არიან ის მამაცები, ვინც თამბაქოს ეწევა და ერთ წელზე მეტი ხანია, მაღალ არტერიულ წნევას უჩივის.

უცნაური იუმორი



იუმორის გრძნობის შეცვლა შესაძლოა, დემენციის (ასაკობრივი გონებასისუსტის) ნიშანი იყოს, — გვაფრთხილებენ ბრიტანელი მეცნიერები.

მკვლევარებმა დემენციით შეპყრობილ პაციენტთა ოჯახების წევრები და მათი დიდი ხნის მეგობრები გამოკითხეს და აღმოჩნდა, რომ ვიდრე სენი აშკარა გახდებოდა, მანამდე მათ ახლობლებს მეტად უცნაური რამეები აცინებდათ. მაგალითად, ტელერეპორტაჟები სტიქიური უბედურებების, ანდა, ვთქვათ, საგზაო შემთხვევების შესახებ, ასევე საშინელებათა ფილმები. ამასთან, მათ უხამსი ხუმრობების მოწონებაც დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ ძალიან ხშირად ისინი ვერ ხსნიდნენ, თუ კონკრეტლად რა აცინებდათ. ამიტომაც, მსგავსი გამოვლინებების შემთხვევაში ექიმები ახლობლებს სპეციალისტისთვის მიმართვას ურჩევენ.

რა ღირს მამონტის ეშვი?

რუსეთის ჩრდილოეთით, იაკუტიაში მუდმივი გამყინვარების ზონაში აუარება პალეონტოლოგიური ნამარხია.

აქ მამონტები ეშვების ნამდვილი „კლონდაიკია“: გეოლოგების საპროგნოზო ვარაუდით, მათი მარაგი ნახევარ მილიონ ათას ტონას აღემატება! ყოველწლიურად ეშვების მაძიებლების გაყინული გრუნტიდან დაახლოებით 50 ტონა მამონტის ეშვებს იღებენ. ერთი კილოგრამის ფასი 3 ათასი დოლარია, ამიტომაც, ამ უნიკალური „ნამარხის“ მიგნების მსურველი საკმარისზე ბევრად მეტია.



არადა, მამონტის ეშვების უკანონო მოპოვებაზე ჯარიმაა, მაგრამ ძალიან მცირე, სულ რაღაც 3 ათასი რუბლი (დაახლოებით 50 დოლარი). ამიტომაც კონტრაბანდისტებს ეს სულაც არ ადარდებთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8542; ევრო - 3.2027;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5595;
100 რუბლი - 4.4841; თურქული ლირა - 0.4965;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6798;
1000 სომხური დრამი - 5.9836.

ამინდი 12 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+26
თბილისი:	ღამე	+21,	დღე	+33

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge